საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი-ორშაბათი, 21-25 იანვარი. 2021 წ. №14-15 (9133-9134) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მარინა მუსხელიშვილი:

ბიზნესი სახელმწიფოზეც მაღლა დგას?! ③



„პრივატიზებული ცენზურა“

ვაჟა ბერიძე:



როცა ⑤ სინათლეს ბნელი ახლავს...

ზურაბ ცუცქირიძე:

ბაქვით მორცხვიც გაურცხვდება! ④

კახა კალაძე:

არავითარ შემთხვევაში ② კერძო მესაკუთრის ინტერესები არ დაირღვევა!

ვიქტორ ყიფიანი:

ხვალინდელზე - გუშინდელის გახსენებითა და დღევანდელის გათვალისწინებით

მესამე სამყაროდან პირველში - ნახტომით! ⑥

პლასიდო დომინგო - საოპერო სცენის „პატრიარქი“ ⑦

ანონსი. გაზეთის მომდევნო ნომერში!

მომავალი თავისით არ მოდის...

აუცილებლად წინ და არავითარ შემთხვევაში უკან!

ონლაინ საუბარს ბონის უნივერსიტეტის შემეცნების თეორიის, ახალი დროისა და თანამედროვე ფილოსოფიის კათედრის გამგესთან, ფილოსოფიის ინტერნაციონალური ცენტრის ხელმძღვანელთან, პროფესორ მარკუს გაბრიელთან უძღვება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დავით გურგენიძე.

პრეზიდენტის ვიზიტი ბრიუსელში

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბრიუსელში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბრიუსელში პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია შეხვედრები ევროკავშირისა და ნატოს ხელმძღვანელ პირებთან.

პრეზიდენტი შეხვდება: **ევროპული საბჭოს პრეზიდენტს შარლ მიშელს, ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ ჟოზეპ ბორელს; ევროპარლამენტის პრეზიდენტს დავიდ სასოლის; ევროკომისიის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს ეკონომიკურ საკითხებში ვალდის დომბროვსკის; ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარეს დევიდ მაკალისტერსა და ნატოს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს. პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, დაგეგმილია ასევე, სხვადასხვა მაღალი რანგის შეხვედრები.**

მოუთმენლად ველოდებით საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს...

2021 წელს საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის პირველი ვიზიტი ბრიუსელში და შეხვედრები ნატოსა და ევროკავშირში მართლაც პოზიტიური გზავნილია საქართველოს მხრიდან და ჩვენი ურთიერთობების სიმტკიცეზე მიუთითებს, — ამის შესახებ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ, „ქრონიკასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

„საქართველოს პრეზიდენტი შეხვდება ნატოს გენერალურ მდივანს და ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს. ჩვენ უამრავი საკითხი გვაქვს განსახილველი. ვიმსჯელებთ წლიურ ეროვნულ პროგრამასა და სხვადასხვა ასპექტზე და გვექნება შესაძლებლობა, ნატო-საქართველოს თანამშრომლობა სიღრმისეულად განვიხილოთ. ახლახან განვაახლეთ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, რომელიც ძალიან ბევრ პრაქტიკულ ელემენტს შეიცავს და სალომე ზურაბიშვილთან იმპლემენტაციის საკითხზეც ვიმსჯელებთ“, — განაცხადა აპატურაიმ.

მისი თქმით, პარტნიორი ქვეყნის პრეზიდენტთან ასევე შედგება საუბარი რეგიონულ უსაფრთხოებაზე. **„გენერალური მდივანი და ნატოს ყველა წევრი ქვეყნის ელჩი საქართველოს პრეზიდენტს კიდევ ერთხელ დაუდასტურებენ, რომ ორგანიზაცია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აგრძელებს არაღიარების პოლიტიკას და მუდმივად მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტს და სრულად შეასრულოს აღებული ვალდებულებები. ნატო გმობს ოკუპაციას და მცოცავ ანექსიას. ჩვენ ვიცით, რა მძიმე მდგომარეობაა კონფლიქტის ზონებში, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და ყოველდღიურად რა სირთულეების წინაშე დგანან იქ საქართველოს მოქალაქეები“, —** აღნიშნა აპატურაიმ.

გელათი მუდამ იგელათებს!.. ⑫



გილოცავთ ქვეყნის მართვის მანდატის განახლებას...

ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ გიორგი გახარიას საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ხელმეორედ დანიშვნას ულოცავს.

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, გილოცავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ახლახან ხელახლა დანიშვნას. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მთავრობები გააგრძელებენ ერთად მუშაობას ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრობის გასაძლიერებლად. ბოლო წლებში, ისრაელ-საქართველოს პარტნიორობა მნიშვნელოვნად გაძლიერდა და იმედი მაქვს, ჩვენი ურთიერთობები მეტად გამყარდება მიმდინარე პანდემიის დასრულების შემდეგ. ვიცი, რომ ისრაელში ათასობით ტურისტი ელის დროს, როდესაც თქვენს მშვენიერ ქვეყანაში ჩამოსვლის შესაძლებლობა ექნება ეპიდვითარებიდან გამომდინარე. კიდევ ერთხელ გილოცავთ ქვეყნის მართვის მანდატის განახლებას. მოუთმენლად ველი თქვენთან მუშაობას ორივე ერის სასარგებლოდ“, — ნათქვამია ბენიამინ ნეთანიაჰუს ოფიციალურ მილოცვაში.

საქართველოსთვის ნატოს კარი ღია უნდა დარჩეს...

აშშ-ის სახელმწიფო მდივნობის კანდიდატმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველოსთვის ნატოს კარი ღია უნდა დარჩეს. აშშ-ის სენატში გამართულ მოსმენებზე სენატორი რენ პოლის კითხვას, უჭერს თუ არა ის მხარს ნატოში საქართველოს გაწევრიანებას, აშშ-ის სახელმწიფო მდივნობის კანდიდატმა უპასუხა: **„თუ საქართველოსნაირ ქვეყანას ნატოს წევრობის მოთხოვნების დაკმაყოფილება და ჩვენს კოლექტიურ უსაფრთხოებაში წვლილის შეტანა შეუძლია, დიახ, ნატოს კარები ღია უნდა დარჩეს“.**

სენატორმა რენ პოლმა საპასუხოდ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში, ნატოს წესდების მე-5 მუხლის თანახმად, ახლა აშშ-ს რუსეთთან ომი ექნებოდა, რასაც ენტონი ბლინკენი არ დაეთანხმა.

„საპირისპიროს ვფიქრობ. რაც შეეხება ნატოს წევრობას, რუსეთი აგრესიულ ქმედებებს აწარმოებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც არ არიან ნატოს წევრები“, — აღნიშნა ენტონი ბლინკენმა.

დასავლეთს მარგინალი მიშა სულ ქინძზე ჰკიდია!..

„ნავალნის და სააკაშვილს შორის, გარდა იმისა, რომ პირველი — კაცია და მეორე — ფარჩაკი, არის კიდევ ერთი ფუნდამენტური განსხვავება — დასავლეთი ნავალნის პუტინთან ბრძოლაში რეალურ და ეფექტურ მოკავშირედ განიხილავს და მხარდაჭერის სრული პაკეტით უზრუნველყოფს (ციხის გზაზე ესკორტირების ჩათვლით), ხოლო მარგინალი და ჯვარდასმული მიშა იმდენად ჰკიდია დასავლეთს, რომ სულ არ აინტერესებს, სად ჩავა და სად ჩაჯდება“ — „ქართული ოცნების“ კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა ნაცვლიშვილი ალექსეი ნავალნის დაკავებას სოციალურ ქსელში ეხმიანება. ნაცვლიშვილი ნავალნისა და სააკაშვილის შორის პარალელს ავლებს.

„ქურდული გარჩევები“, ანუ ხალხმა უნდა იცოდეს, მის ზურგს უკან რას ვლაპარაკობდით

პოლიტიკური პარტია „ლელო საქართველოსთვის“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე და პარტია „მოქალაქეების“ თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი ერთმანეთს „რუსთავი-2“-ის ეთერში სიტყვიერად დაუპირისპირდნენ.

ცხარე კამათი, სტუდიაში ოპოზიციის შეხვედრების შესახებ ალეკო ელისაშვილის მიერ გაკეთებულ კომენტარებს მოჰყვა. მამუკა ხაზარაძემ ელისაშვილი დახურული შეხვედრებიდან ინფორმაციის გასაჯაროებაში დაადანაშაულა. მამუკა ხაზარაძემ ალეკო ელისაშვილს მიმართა: **„სირცხვილი არის ის, რომ თქვენ გაიტანეთ ინფორმაცია, რომელიც არ შეესაბამებოდა სიმართლეს“.**

საპასუხოდ ელისაშვილმა მამუკა ხაზარაძეს შეხვედრების დროს გამართული საუბარი გაახსენა. **„ჩვენ რამეზე შევთანხმდით?! ქურდული გარჩევა გვქონდა თუ პირადი საუბარი. ერთადერთია, რასაც ვნანობ, რომ მაშინვე არ ჩავრთეთ ყველაფერი პირდაპირ ეთერში. ხალხმა უნდა იცოდეს, ხალხის ზურგს უკან რას ვლაპარაკობდით. რა არ გვილაპარაკია, იმდენი ხალხი ვიყავით და ზუსტად ეგრე მითხარით, მთავარი რასაც ვიძახდით, თუ ბოიკოტში ვრჩებით და ბოიკოტში ვრჩებით, რა ხდება მერე, როგორ ვამარცხებთ ივანიშვილს?! არ მითხარი, შენ შემოხვედი გვიან და გკითხე რომ ბიზნესმენი კაცი ხარ, მილიონერი, პრაგმატული, გეგმებზე ფიქრობ სულ... სიტყვასიტყვით არ მითხარი, ომია ძმა და მერე რა იქნებაო... არ გითხარი ნებისმიერ ომში გამოგყვები-მეთქი“,** — განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

„თქვენ, ბატონო ალეკო, ბრძანდებით მატყუარა“, — უპასუხა ხაზარაძემ, რაზეც ელისაშვილმა მას სიტყვების შერჩევისკენ მოუწოდა. თავის მხრივ ელისაშვილმა განაცხადა, რომ ხაზარაძე „ევროპული საქართველოს“ ლიდერის გიგა ბოკერიას „დაკრულზე“ დადის. „ლელოს“ ლიდერმა კი უპასუხა, რომ ელისაშვილი „ქართული ოცნების“ და ირაკლი კობახიძის დაკვეთას ასრულებს და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ოპოზიციაში ერთმანეთს „დააყარეს“.

„არ დაგინახო, რომ ოპოზიციურ შეხვედრებზე მოხვიდე.მე შენ ხელს არ ჩამოგართმევ. ეს იქნება პირველი მაგალითი ქართულ პოლიტიკაში, რომ ღირსებას, სიტყვას და სიმართლეს უნდა ჰქონდეს ფასი“, — განაცხადა ხაზარაძემ, რასაც ელისაშვილის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა, მან „ლელოს“ ლიდერი ხალხის ძარცვაში დაადანაშაულა. ამის შემდეგ მამუკა ხაზარაძემ სტუდია დატოვა.

არავითარ შემთხვევაში კერძო მესაკუთრის ინტერესები არ დაირღვევა!

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი მთავრობის სხდომა გაიმართა

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესახებ კიდევ ერთხელ ისაუბრა.

„დაიწყო ახალი სამუშაო წელი და რასაც ბოლო წლების განმავლობაში ვაკეთებდით, უნდა გავაათმაგოთ და გავაასმაგოთ. 2020 იყო ძალიან რთული წელი ყველანაირი თვალსაზრისით. მსოფლიო იდგა სერიოზული გამოწვევის წინაშე და ეს ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. საქართველოც არ არის გამონაკლისი, ვებრძვით უხილავ მტერს — კოვიდ-19-ს. პანდემიის გამო, 2020 წელს ძალიან ბევრი პრობლემა შეგვექმნა, პროექტების გადავადება მოგვიწია სხვა პრიორიტეტების გამო, თუმცა დარწმუნებული ვარ, 2021 წელს ერთიანი ძალისხმევით, ბევრი კარგი და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებას შევძლებთ“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, მიმდინარე წლის პრიორიტეტი ასევე, დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება.

„მიმდინარე წლის ბიუჯეტში ძირითადი პრიორიტეტები სოციალურ-ეკონომიკური სფეროს მხარდაჭერაა, რისთვისაც 350 მილიონი ლარი იქნება გამოყოფილი. დაახლოებით, 440 მილიონი ლარი ინფრასტრუქტურული მიმართულებით დაიხარჯება. იცით, რომ დაწყებული გვაქვს სატრანსპორტო პოლიტიკის რეფორმა, რომელიც ბევრი კომპონენტისგან შედგება. ეს იქნება მიმდინარე წელს ერთ-ერთი პრიორიტეტი. ასევე, ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

მისივე თქმით, გასული წლის ბიუჯეტი თბილისის მერიამ 96%-ზე მეტი ოდენობით შეასრულა. კახა კალაძემ დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ნაცვლად დაგეგმილი მილიარდ 100 მილიონი ლარისა, ბიუჯეტი მილიარდ 150 მილიონი ლარი იქნება.

„საუბარი იყო, რომ 2021 წლის ბიუჯეტი 1 მლრდ 100 მლნ ლარამდე გაიზრდებოდა, თუმცა 2020 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი მუნიციპალიტეტის ეფექტური მუშაობის შედეგად, გადაჭარბებით არის შესრულებული და ამის გამო, 2021 წლის ბიუჯეტი იქნება 1 მლრდ 150 მლნ ლარამდე, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელოთ ჩვენი ქალაქისა და თბილისელებისთვის“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

თბილისის მერის თქმით, რეკრეაციული სივრცეებისა და სპორტული მოედნების ხარჯზე მშენებლობების ნებართვა აღარ გაიცემა.

„დარწმუნებული ვარ, დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობას, ვისაც ეს ქალაქი უყვარს და თბილისზე გული შესტკივა, არ მოსწონდა ის, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა — კოეფიციენტის გადამეტება, არასწორი სამშენებლო სამუშაოები, ქალაქის არასწორი განვითარება, რეკრეაციული სივრცეებისა და სპორტული მოედნების ხარჯზე მშენებლობებზე ნებართვების გაცემა. ეს კატეგორიულად მიუღებელი და დაუშვებელია. შესაბამისად, გენგეგმის მიღება იყო ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა ხაზს ვუსვამ, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში, კერძო მესაკუთრის ინტერესებს არ დავარღვევთ. ამიტომ, დედაქალაქის მერიაში შექმნილია სპეციალური კომისია და კიდევ ერთხელ მინდა მივმართო იმ მოქალაქეებს, ვისაც გენგეგმის მიღებით გაუუარესდა სტატუსი საკუთარ მიწის ნაკვეთებზე — აუცილებლად უნდა მომართონ თბილისის მერიას და ჩვენ ვიმოქმედებთ გენგეგმით განსაზღვრული წესებით. არც ერთი შემოსული განცხადება პასუხგაუცემელი არ დარჩება. შექმნილია შესაბამისი ჯგუფი. ამიტომ, იაქტიურეთ, ვისაც გაუუარესდა მიწის ნაკვეთების სტატუსი. ჩვენ მაქსიმალურად ვითვალისწინებთ თქვენს ინტერესებს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მარშალ გელოვანის გამზირისა და მუხრან მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის პროექტი გაზაფხულის ბოლოს, ზაფხულის დასაწყისში უნდა დასრულდეს.

მისი თქმით, პროექტი დაახლოებით, ორკილომეტრიანი სიგრძის, ოთხზოლიანი გზის, ასევე, საყრდენი კედლების, წყალამრიდებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარე განათების ქსელის მოწყობას ითვალისწინებს.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ „თბილისის ტაქსი“ მძღოლები ორ კვირაში ერთხელ სავალდებულო PCR ტესტირებას დაექვემდებარებიან. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ვირუსის გავრცელების რისკების თავიდან აცილების მიზნით, როგორც A, ისე B კატეგორიის მძღოლების ტექსტირება მოხდება. მისივე თქმით, დედაქალაქში დადასტურდა სამწუხარო შემთხვევები, როდესაც ტაქსის დაინფიცირებული მძღოლები მუშაობას განაგრძობდნენ.

* * *

თბილისის მერი სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ გოგებაშვილის ქუჩაზე განთავსებულ სკამებში არა ნაგვის ურნები, არამედ ყვავილების ქოთნებია ჩამონტაჟებული.

„მთელი დღის განმავლობაში, სოციალურ ქსელებში არასწორი ინფორმაციები ვრცელდებოდა. ეს ცხადია, მიზანმიმართულად ხდებოდა. ავრცელებდნენ გოგებაშვილის ქუჩაზე გადაღებულ ფოტომასალას და ადანაშაულებდნენ დედაქალაქის მუნიციპალიტეტს, მერიას, მერს, რომ თურმე საერთოდ რაზე ვფიქრობთ, რა პროექტებს ვახორციელებთ. საუბარი იყო იმაზე, თითქოს, დასასვენებელ სკამებში ჩავდგით სანაგვე ურნები, რომელიც ფოტოებზე გადავსებული იყო. ეს რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სიცრუეა. მინდა, რეალობა ვუთხრა საზოგადოებას: ეს არ არის არც მერიის, არც გამგეობის პროექტი. ეს არის ორი ძალიან კარგი ადამიანის მიერ გაკეთებული პროექტი, რომელთაც ძალიან უყვართ თავიანთი ქალაქი. ამ ორმა ახალგაზრდამ კონკრეტულ შენობა-ნაგებობაში იჯარით აიღო ფართი, სადაც რესტორანს აკეთებენ. სამუშაოები უკვე დამთავრებული აქვთ და ელოდებიან, როდის იქნება შესაძლებელი, პანდემიის პირობებში რესტორნები გაიხსნას. აღნიშნულმა ორმა ახალგაზრდამ ეს მოსასვენებელი სკამები განათავსა, რომლებზეც დამონტაჟებული აქვს საყვავილეები“, — განაცხადა კახა კალაძემ. თბილისის მერმა აღნიშნულ ორ მოქალაქეს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

№ 14-15. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 21-25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ.

„ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲐ“



„ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲡ განმავლობაში სიტყვის თავისუფლება ასოცირებული იყო მედიის დამოუკიდებლობასთან, ხოლო ცენზურა — სახელმწიფოსთან. დღესდღეობით, როდესაც ტვიტერმა დაბლოკა პრეზიდენტ ტრამპის გვერდი, სახეზეა საპირისპირო მოვლენა, რომელიც იმ ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ინდიკატორია, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით. ამ ტრანსფორმაციის საანალიზოდ მე გამოვიყენებ ტერმინს, რომელიც ერთ-ერთმა შესანიშნავმა მკვლევარმა, კოლინ კრაუჩმა გამოიყენა ეკონომიკასთან მიმართებაში — პრივატიზებული კეინსიანობა. ამისთვის ჯერ შეევეხები კეინსიანობას, მერე ავხსნი რა იგულისხმება პრივატიზებულ კეინსიანობაში, ხოლო შემდეგ გავავლებ პარალელს მედიასთან და ბოლოს ინსტიტუციურ ტრანსფორმაციასთან.

სანამ დაიწყებოდა ნეოლიბერალური გლობალიზაცია და მონეტარისტული მაკროეკონომიკა, კაპიტალისტური ქვეყნები სხვანაირად წარმართავდნენ თავის ეკონომიკურ პოლიტიკას. კერძოდ, როდესაც ეკონომიკაში იწყებოდა ვარდნა და წარმოების შენელება, ისინი კი არ ამცირებდნენ სახელმწიფო ხარჯებს, არამედ უფრო ხელგაშლილად ხარჯავდნენ ფულს, რომლითაც მომხმარებელთა ჯიბეებს ავსებდნენ. ამით იზრდებოდა საბაზრო მოთხოვნა ეკონომიკაში წარმოებულ პროდუქციაზე, ფული მომხმარებლებისგან გადაედინებოდა მიმწოდებლებში — ბიზნესში, და ეკონომიკა კვლავ ფეხზე დგებოდა. ეკონომიკური კრიზისი თავდებოდა.

შემდგომში, როდესაც ნეოლიბერალიზმმა ეკონომიკის მართვის და კრიზისების ნიველირების სადავეები სახელმწიფოს დიდწილად ჩამოაშორა, კვლავაც რჩებოდა საბაზრო მოთხოვნის სტიმულირების საჭიროება, მაგრამ ეს ფუნქცია აწი უკვე საკუთარ თავზე ბანკებმა აიღეს. მათ დაიწყეს არაგარანტირებული სამომხმარებლო სესხებისა და იპოთეკების მზარდად გაცემა. ამ პრივატიზებულმა სტიმულირებამ პოზიტიურად იმოქმედა ეკონომიკის ზრდაზე მანამ, სანამ გაიბერა ვალების ბუშტი, რომელიც გასკდა 2008 წლის კრიზისში. განსხვავებით სახელმწიფოსგან, რომელიც ხან ხელგაშლილად ხარჯავს, ხან მომჭირნეობას მიმართავს იმისდა მიხედვით, თუ რა სჭირდება ეკონომიკას, ბანკები მიჰყვებიან მხოლოდ ერთ სტრატეგიას, რომელიც განწირულია მოიტანოს კრიზისი.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საზოგადოებრივი საჭიროებების დაკმაყოფილების უზარმაზარმა წილმა სახელმწიფოსგან კერძო სექტორში გადაინაცვლა. საზოგადოებრივი სიკეთეების წარმოება არ შემწყდარა, მაგრამ ის პრივატიზებული სახით არსებობს, პრივატიზებული, კერძო ინსტიტუტის ლოგიკა კი განსხვავებულად მოქმედებს. პირველ რიგში ეს აისახება სამოქალაქო ინსტიტუტების პოლიტიზებაზე. არაპრივატიზებული სამოქალაქო ინსტიტუტი, იქნება ეს ენჯეო თუ მედია, რეალურ საჭიროებებსა და დღის წესრიგს მიჰყვება. ისინი ხან აკრიტიკებენ ხელისუფლებას, ხან აქებენ, იმისდა მიხედვით, თუ რა დაკვეთა მოდის საზოგადოებიდან, ანუ როგორია „პოლიტიკური ბაზრის მოთხოვნა“. პრივატიზებული ინსტიტუტი მიჰყვება მხოლოდ ერთ ლოგიკას, და ეს არის კრიტიკა, ნეგატივიზმი და სკანდალი. შესაბამისად, საზოგადოებაში იზრდება უნდობლობა, პოლარიზება, ნიჰილიზმი და დემოკრატია გადადის პოპულიზმში, რომელიც აუცილებლობით ხასიათდება პერიოდული პოლიტიკური კრიზისებით, ქუჩის გამოსვლებით და დესტაბილიზაციით.

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲒᲐᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ. ᲓᲦᲔᲡ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲘᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ— ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲦᲐᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲒᲔᲑᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲑᲔᲓᲘ ᲔᲚᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡ — ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲔᲑᲘ, ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ, ᲐᲠᲪ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓᲘ. ᲛᲐᲗ ᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲓᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲠᲐᲘᲰᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ „ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ �გᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ“ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ ᲕᲘᲬᲠᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲚᲘᲢᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲔᲜ ᲐᲛ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲘᲡ. ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲬᲔᲡᲔᲑᲛᲐ ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲜ ᲑᲔᲕᲠᲘᲡ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲪᲝᲢᲐᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ მᲐᲗᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐ. ᲘᲒᲘᲕᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲖᲔᲪ. ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲬᲔᲡᲓᲔᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛᲘ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲝᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲖᲔ. ᲠᲐᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲔᲡ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲓᲒ ᲘᲛ ᲓᲘᲓ ᲫᲛᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲠᲘᲒᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲖᲔ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲖᲔᲪ.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ

ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲣᲓᲐᲕ ᲠᲝᲚᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ. ᲝᲠᲘᲕᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲐᲪᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲘᲔᲑᲘᲗ.

სრულიად სხვა ვითარებას ვაწყდებით სოციალური ქსელების შემთხვევაში. შეგახსენებთ, რომ აქ ხდება არა მასკომუნიკაცია, არამედ თვითკომუნიკაცია. სოციალური ქსელის მპოსტავი არის რიგითი მოქალაქე, რომელსაც არა აქვს ის ვალდებულება და პასუხისმგებლობა, რომელიც პროფესიონალ ჟურნალისტს აკისრია. შესაბამისად, მისი სიტყვის თავისუფლება განუზომლად დიდია ჟურნალისტის თავისუფლებაზე. მეორე მხრივ, სოციალური ქსელის მეპატრონეს შეუძლია ერთპიროვნულად გადაწყვიტოს, იქნება თუ არა ქსელის მოდერაცია, ანუ ცენზურა, და თუ იქნება, რა ნორმების მიხედვით იმოქმედებენ ქსელის ცენზორები.

ანუ საქმე გვაქვს სრულიად შეტრიალებულ ვითარებასთან — ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებამ დააკისროს პასუხისმგებლობა კერძო კომპანიებს საზოგადოების მიერ კონტროლირებული სამოქალაქო და პოლიტიკური, დემოკრატიული ინსტიტუტების მეშვეობით, მსოფლიოს უმსხვილესი და უმდიდრესი ბიზნესები აკისრებენ პასუხისმგებლობას თავის მომხმარებლებს, და შეგახსენებთ, რომ სოციალური ქსელიდან ოსტრაკიზმი დღეს ლამის საზოგადოებიდან ოსტრაკიზმის ტოლფასია.

პრეზიდენტი ტრამპი, ცხადია, არ არის რიგითი მომხმარებელი, და მას, როგორც ქვეყნის ლიდერს, უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია. მაგრამ ვინ არის ის, ვისაც მისგან ამ პასუხისმგებლობის მოთხოვნა შეუძლია? აქვს თუ არა ტვიტერს ამის კომპეტენცია? ტრამპმა პირველად არ მოიტყუა, პირველად არ ჩააგდო ქვეყანა საფრთხეში და ერთ დღეში არ გაყო ამერიკული საზოგადოება შეურიგებელ ბანაკებად. შესაბამისად, ტვიტერმა ან ძალიან დააგვიანა საკუთარ თავზე საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის აღება, ან გადაამეტა იმ უფლებამოსილებას, რაც აქვს. ერთია, როდესაც დემოკრატიულად არჩეული კონგრესი პრეზიდენტს იმპიჩმენტს უწყობს და სულ სხვაა, როდესაც კერძო კომპანია მას საზოგადოებასთან კომუნიკაციას უზღუდავს. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, საკუთარი ნებით.

მარქსის მიხედვით, სახელმწიფო არის ძალაუფლების შენარჩუნების ძირითადი იარაღი გაბატონებული კლასის ხელში. დღეს, სავარაუდოდ, ის ამას არ იტყოდა— საქმე მიდის იქ, სადაც ბიზნესი იმდენად მაღლა დგას სახელმწიფოზე, რომ სახელმწიფო აღარ თამაშობს როლს მისი ძალაუფლების განმტკიცებაში. ამ პრივატიზებულ ვითარებაში პოლიტიკას იგივე ბედი ელის, რაც ეკონომიკას — პერიოდული კრიზისები, პოპულიზმი და რევოლუციები.

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲒᲐᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ. ᲓᲦᲔᲡ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲘᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ— ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲦᲐᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲑᲔᲓᲘ ᲔᲚᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡ — ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲔᲑᲘ, ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲔᲑᲘ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲝ ᲮᲐᲠᲯᲘ?..

ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ვალის ზრდასთან ერთად, მისი მომსახურების ხარჯიც იზრდება, რასაც თავის მხრივ გაუფასურებული ლარიც ემატება. 2021 წელს საქართველოს 3.3 კურსზე მოუწევს ისეთი ვალების დაფარვა რომლის აღების მომენტშიც 1 აშშ დოლარის ღირებულება 3.00-ზე და 2.80-ზე ნაკლებსაც შეადგენდა.

2021 წლის პირველ სამ კვარტალში საქართველოს საგარეო ვალი გასასტუმრებლად 841 მლნ დოლარის გადახდა მოუწევს, რაც 18 იანვრის კურსით — 2.750 მლრდ-ს შეადგენს. ამ თანხის 3/4-ის 604 მლნ დოლარის გადახდა მეორე კვარტალშია გათვალისწინებული.

გადასახდელი 841 მლნ დოლარიდან 94 მლნ დოლარი ანუ 309 მლნ ლარი საპროცენტო ხარჯია, დანარჩენი სესხის ძირი თანხა.

სახელმწიფოების მიმართ საქართველოს ყველაზე მეტი ვალი გერმანიასთან აქვს — 720 მლნ დოლარი, მეორე ადგილზე 571 მლნ დოლარით საფრანგეთია, სამეულს 218 მლნ დოლარით იაპონია ასრულებს.

ვალის მოცულობა გაცილებით დიდია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ. მსოფლიო ბანკის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა (IBRD) და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA)-ს მიმართ არსებული ჯამური დავალიანების მოცულობა 2.011 მლრდ დოლარს აღწევს, აზიის განვითარების ბანკის (ADB) წინაშე არსებული დავალიანება კი 1.415 მლრდ დოლარს შეადგენს.

2020 წლის 30 სექტემბერის მდგომარეობით საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 19.7 მლრდ დოლარს (64.7 მლრდ ლარს) შეადგენდა — მშპ-ს 120.4%-ს. ამ თანხის 45.1% — 8.9 მლრდ დოლარი სახელმწიფო ვალია, რაც მშპ-ს 54.6%-ს შეადგენს, საიდანაც 6.8 მლრდ დოლარი უშუალოდ სამთავრობო სექტორის ვალია, 458 მლნ დოლარი ეროვნული ბანკის და 1.7 მლრდ დოლარი სახელმწიფო კომპანიების. დანარჩენი 10.8 მლრდ დოლარი კერძო სექტორზე მოდის, მათ შორის 4.4 მლრდ დოლარი კომერციულ ბანკებზე.

2021 წელს სახელმწიფო ვალი მშპ-ს 60%-ს გადააჭარბებს, რასაც „თავისუფლების აქტი“ კრძალავს, მაგრამ იგივე დოკუმენტი ორ გამონაკლისს უშვებს: 1) საომარი ან სგანგებო მდგომარეობა; 2) თუ ზედიზედ 2 კვარტლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2 პროცენტული პუნქტით, ან უფრო მეტით დაბალია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საქართველოში საგანგებო მდგომარეობაც იყო გამოცხადებული და ეკონომიკური ზრდის ტემპი არათაუ 2%-ით, 11%-ითაც შემცირდა და 5.1%-იანი ზრდის შემდეგ, 11 თვეში 5.9%-ით შემცირდა.

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ბაძვით მორცხვიც გაურცხვდება!

ამ წერილის სათაური, მართალია, ბრჭყალებში არ ჩავსვი, მაგრამ ცხადია, ამ გაზეთის მკითხველი მიხვდა, რომ იგი დავით გურამიშვილს დავესესხე: „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების!“. გურამიშვილის დროს ურცხვი ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე მორცხვი. დღეს კი მორცხვები უმცირესობაში არიან და, სწორედ ამ უმცირესობას უნდა მხარდაჭერა და გაფრთხილება, რადგან თუ კაცობრიობამ იარსება, მომავალი იმ უმცირესობისაა, ვინც სირცხვილი იცის და არასოდეს იტყვის: მე არაფრისა მრცხვენიაო. ადამიანია და იმიტომ!

სირცხვილი მხოლოდ ადამიანის თვისებაა. შიში და სიმშვიდე, სიყვარული და სიძულვილი, სიხარული და მრისხანება, ერთგულება და მტრობა ცხოველმაც იცის, მაგრამ სირცხვილი არ იცის ცხოველმა. ცხოველია და იმიტომ!

სირცხვილი ზნეობრიობის გამოვლენაა და რამდენადაც მყარია ზნეობრივი ფენომენი სუბიექტში, იმდენად ძლიერია სირცხვილის გრძნობა და სინდისის მარეგულირებელი ძალა, რაც ადამიანს, შემეცნების უნართან ერთად, სოციალურ არსებად აქცევს.

კაცობრიობის დიდმა ნაწილმა, სამწუხაროდ, დაივიწყა ეს ათადან და ბაბადან ყველასთვის ცნობილი და შეუვალი ჭეშმარიტება და დღეს ე.წ. წამყვან ანუ მოწინავე ქვეყნებში გაბატონებულმა ნეოლიბერალურმა იდეოლოგიამ სირცხვილის გრძნობის არსებობა ადამიანურ სისუსტედ გამოაცხადა, ანუ სირცხვილი სირცხვილად და თავისმოჭრად, ჩამორჩენილობად და წარსულის გადმონაშთად ჩათვალა.

სხვათა შორის, ეს „არ ახალია!“. 1918 წელს, რუსეთის რევოლუციიდან სულ მალე ტროცკისტებმა წამოაყენეს ზნეობის წამლეკავი ლოზუნგი „ძირს სირცხვილი!“ („Далой стыд!“), რასაც დიდი ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი ლენინმა. საბედნიეროდ, ეს ლოზუნგი მალე ჩაკვდა, რადგან იმდროინდელ რევოლუციურ ბელადთა შორის იყო ერთი, უმნიშვნელო თანამდებობის, მაგრამ მტკიცე ზნეობისა და მართლმადიდებლური განათლების კაცი, რომელმაც ლახვარი ჩასცა არა მარტო ამ სატანურ მოწოდებას, არამედ მის შემოქმედებასაც. ამის წყალობით, მსოფლიოს ერთ მეექვსედზე გადარჩა ზნეობრიობა, ანუ ადამიანი.

ის კაცი ღმერთი არ იყო, მოკვდავი გახლდათ, სატანა კი ჯერჯერობით უკვდავია და ვინც ღმერთს დაშორდება, ის უთუოდ სატანის ხელში აღმოჩნდება. ასეც მოხდა! ის ქვეყნები, სადაც უღმერთობა პოლიტიკის საჭესთან იდგა, სატანის ხელში აღმოჩნდნენ. რომელი ქვეყნები და რეგიონები იყვნენ ისინი, ამის გამოცნობას დიდი ჭკუა და გეოგრაფიის ჯენიფერ ფსაკისებური „ცოდნა“ არ სჭირდება. ესენი იყვნენ პოსტსტალინური საბჭოთა კავშირი, ევროპა, სადაც XX საუკუნის დასაწყისში ტაშისკვრით მიიღეს „ცნობა“ ღმერთის გარდაცვალების შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც თავიდანვე მამონას ეთაყვანებოდნენ ამერიკის აღმომჩენი ქვეყნების წარმომადგენელი „კულტურტრეგერები“ და „ველურების“ კოლტით მომჭკვიანებლები.

მეცნიერებაში სადავოდ არავის გაუხდია ის, რომ ნებისმიერ მიზეზს აუცილებლად მოჰყვება შედეგი. ჰო, და, ადამიანის, ერისა თუ სახელმწიფოს მოქმედება თუ უმოქმედობა ხომ რეალური ფაქტია, რასაც, ცხადია, შედეგი უნდა მოჰყვეს. რა თქმა უნდა, ფიზიკურ მოქმედებას მოდევნებული შედეგი თვალსაჩინო და ყველასთვის საცნაურია, ხოლო ზნეობრივ სფეროში განხორციელებული მოქმედებისა (თუ უმოქმედობის) შედეგი აგრერიგად მყისიერი და თვალსაჩინო როდია.

შემეცნების ღვთიური უნარი და თავისუფალი არჩევანის უფლება ადამიანმა სამწუხაროდ სწორად ვერ გაიგო. ეს ჩემი დასკვნა კი არა, კაცობრიობის დიდ მოაზროვნეთა ნაფიქრალია (კანტი, ჰეგელი, სარტრი, შპენგლერი და ბევრი სხვა, უფრო შორეულ, თუ უახლოეს წარსულში!).

შემეცნების უნარი რომ მოგვენიჭა, იქვე ზნეობრივი მცნებაც მოგვეცა: „შეიცან თავი შენიო“. შენი თავი თუ შეიცანი, მთელი სამყაროც შეცნობილი გექნება (შტაინერი), ხოლო თავისუფალი არჩევანი გულისხმობს არჩევანს კეთილსა და ბოროტს შორის, რასაც აგრეთვე მოჰყვება უმაღლესი გონისმიერი მცნება: სიკეთე ღვთიურია, ბოროტება სატანური. სატანა კი ბოლოს აუცილებლად ცეცხლსა და გეენაში დაინთქმება.

დიდად სამწუხაროა, რომ კაცობრიობის ერთი ნაწილი კარგა ხანია ასცდა სიკეთის გზას და ღვთიური მცნებების საწინააღმდეგო, უსირცხვილობის გზას დაადგა.

უსირცხვილობის მაგალითები იმ ადამიანების საქციელიდან უნდა მოვიტანო, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ამბიონზე დგანან და მთელი ხალხი უცქერის და უსმენს მათ ნამოქმედარსა და ნათქვამს, მაგრამ მეტწილად უმეტესობა ჭეშმარიტად ვერც რას ხედავს და ვერც რას ისმენს, რადგან ღვთის ხელი აკლიათ და სატანისგან არიან გაბრუებულები.

ახლა უსირცხვილობისა და თავს ლაფის დასხმის ის მაგალითი უნდა გავახსენო მკითხველს, რაც ჩვენი ერთ-ერთი ე.წ. პარტიის აქტივისტებმა უჩვენეს ქვეყანას: ამ უჯიშოებმა შარვალ-ნიფხვები ჩაიხადეს და წაკუზულებმა შიშველი უკანალები მიუშვირეს ცხინვალის სეპარატისტული რეგიონის სასაზღვრო მავთულხლართებს იქით მდგომ მესაზღვრეებსა და სხვებს. ეს უბედურები ისე იდგნენ, როგორც ატეხილი ძროხები დგანან ხოლმე აღგზნებული ბუღების მოლოდინში.

ეს რომ ვნახე, ღმერთო მაპატიე, ვინატრე, ნეტავი ქართველი არ ვიყო-მეთქი. მერე, სირცხვილისგან გაოგნებული გონზე რომ მოვედი, გული გავიმაგრე: მე კი არა, ეგენი არ არიან ქართველები-მეთქი, მაგრამ მთელ დუნიას როგორ ავუხსნიდი ამას? არა და, ის ტელერეპორტაჟები, სადაც ეს თავისმომჭრელი ინფორმაცია გაავრცელეს ქართულმა უღირსებო ტელევიზიებმა, ეს ხომ მთელმა კავკასიელმა ერებმა ნახეს! ამის შემდეგ რა წარმოდგენა შეექმნებოდათ ქართველთა ღირსებაზე ჩერქეზებსა და ინგუშებს, ჩეჩნებსა და დაღესტნელებს, უფრო კი ოსებს, რომლებმაც თავისი თვალით იხილეს კაცობის ღირსების დაცემა და გაინორწყლება. შარვალ-ნიფხავ ჩახდილს რომელი ღირსეული კაცი დაგელაპარაკება, როგორც თანასწორს?

ახლა, შეიძლება მითხრას ვინმემ: რა იყო, შე კაცო, ყველა ხალხს ჰყავს რამდენიმე ათეული ან ასეული სულელი, უსირცხვილო და უღირსებო კაცი (პრინციპში, ეს ერთი კატეგორიაა!), რომლებმაც შეიძლება პარტიაც შექმნან. ლიბერასტულ სახელმწიფოში ეს სავსებით მისაღებია და ყველაზე მათი მაგალითით რატომ უნდა შეგექმნას შთაბეჭდილებაო. მართალი ხართ, ჩემო ძმაო, მაგრამ შენ ხომ ჩემი და ჩემნაირების მიერ არჩეული ხელისუფლების ზნეობრივი სახის მიხედვით უნდა იმსჯელო! ჰო, და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკომ) შარვალ-ნიფხავჩახდილების ე.წ. პარტია საპარლამენტო არჩევნების რეგისტრაციაში რომ გაატარა, რითი განსხვავდება იგი იმ ნიფხავჩახდილებისგან? (ანდა ის ადამიანები, რომლებმაც ხმა მისცეს ამ უსირცხვილოებს, განა მათნაირები არ არიან? არიან და უფრო უარესებიც კი!).

მერე, უარესიც მოხდა: საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციურმა პარტიებმა არჩევნების შედეგები გააპროტესტეს და პარლამენტში არ შევალთო, დაიჟინეს. მათ შორის ის ნიფხავ-შარვალჩახდილების პარტიაც იყო.

ბიძინა ივანიშვილის დაფუძნებული „ქართული ოცნებით“ მოხიბლული რომ არ ვარ, მეტყობა! მაგრამ ის პარტიები პარლამენტში შესვლაზე უარს რომ ამბობენ, პარლამენტში კი არა, ნეტავი საქართველოშიც არ იყვნენ. ერთადერთი „პატრიოტთა ალიანსია“, რომელიც მინდოდა პარლამენტში მეხილა, მაგრამ...

ჰო და, პარლამენტში შესული სახელისუფლო პარტიის ლიდერები, რომლებიც წინა მოწვევის პარლამენტის ტრიბუნიდან სავსებით სამართლიანად უწოდებდა ახლანდელ გაჯიუტებულებს კრიმინალებს, დესტაბილიზაციის მოსურნეებს, ხაზინის ქურდებს, მკვლელებს, ქართული სახელმწიფოებრიობის მტრებს, ქოსამატყუარებსა და კიდევ ათას უბედურებას, ცამდე მართლები იყვნენ მაშინ, მაგრამ ახლა ყელგამოწეულები რომ ეხვეწებიან იმ მანქურთებს, შემოდით პარლამენტში და თქვენი წილი მრავალათასიანი ხელფასები არ დაკარგოთ ჩვენო ზნეობრივო ძმებოო, სირცხვილსა და ღირსებაზე არაფერი გაუგონიათ, ნეტავი? რისი სირცხვილი და რა ღირსება, მეოცნებეებს იმისი ეშინიათ ამერიკელმა კონგრესმენებმა (ერთი-ორმა მაინც!) ოკეანისგადაღმიდან თითი არ დაუქნიონ, რას ჰგავს თქვენი ერთპარტიული პარლამენტიო. შეიძლება თქვენი ოპოზიცია სულაც ძაღლისშვილები არიან, მაგრამ თქვენი ძაღლიშვილებია ეგენიც, თქვენი გენეტიკური (ზნეობრივიც!) ძმებიო. სწორედ ამიტომ მართავენ გაუთავებლად მოლაპარაკების რაუნდებს, თანაც რეფერენტებთან ერთად იწვევენ მთელ დიპლიტიურ „ავტორიტეტებს“...

ჩემო მდიდარო, მაგრამ, საცოდავო ხელისუფლებავ, არ გრცხვენია მარიხუანისტების (ანუ ნარკომანების) პარტიასთან, რომელსაც მოფერებით „გირჩი-ჯაფარიძეს“ უწოდებ, საძმის გასარჩევად რომ მიდიხარ და თან შენი უფროსი, „ბლატნოი“ ნაცნობები მიგყავს ევროკავშირიდან თუ აშშ-ს საელჩოდან! რა ძვეყანა უნდა მართო და აღმავლობისკენ წაიყვანო, შე გლახა, როცა შალიკია და კაკოია დამხობით გემუძრებიან!

სირცხვილის ძარღვი თუ გაიწყვიტე შუბლზე, ყველა სიგლახის ქმნა ადვილია მაშინ! ამიტომ გეადვილებათ ყოვლად უღირსებო საქციელი, ჩემო დასავლეთში დაფასებულო, მაგრამ ჩვენში საცინლად აგდებულო პოლიტელიტავ!

ჩემო თანამემამულენო, როგორ დავამტკიცოთ თითოეულმა ჩვენგანმა, რომ მხარი არ დაგვიჭერია შიშველტრაკგადმოგდებულებისა და ბუღის მოლოდინში წაკუზულთათვის? ვერ დავამტკიცებთ და შეგვრჩება ეს სირცხვილი საშვილიშვილოდ. მე არ ვიცი როგორ ჩამოვირეცხოთ ეს და სხვა სირცხვილები. თუ ვინმემ იცით, უმორჩილესად გთხოვთ, შემატყობინოთ.



ზურაბ ცუცქირიძე

P.S.



პარლამენტში შესვლისთვის გაქირზე მდგომ (თუნდაც გაოჩნებულ) ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, ქუჩის აქციებზე იდგა ოპოზიციის ცნობადი სახე, ყოფილი პარლამენტის სპიკერი, ორჯერ საქართველოს დროებითი პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე. საკმაოდაც აქტიურობდა, თუმცა მისმა პარტიამ 1%-იანი ბარიერიც ვერ გადალახა და დეპუტატის ერთი მანდატიც ვერ მოიპოვა. ამის მიუხედავად, ქალბატონი ნინო ქუჩის ინტერვიუებზეც აქტიურობდა. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს კორესპონდენტმა ჰკითხა: მასობრივი პანდემიის დროს ქუჩაში თავშეყრები და მასობრივი აქციები განა ნორმალური მოვლენაააო? „მე მირჩევნია კორონა ვირუსი იყოს ჩვენში, ვიდრე არსებული ხელისუფლებაო“, – უპასუხა ყოფილმა პარლამენტის სპიკერმა.

რა სირცხვილი, რის სირცხვილი! ზნეობისა და ჰუმანიზმის ნიშანწყალი მაინც თუ დაინახეთ ამ „პოლიტიკოსის“ პასუხში? ნორმალური ადამიანი ვერ დაინახავდა, მაგრამ თვითონ კი შერცხვებოდა იმ „პოლიტიკოსის“ უტიფარი, ბოროტი პასუხის გამო.

ზ. ც.

როცა სინათლეს ბნელი ახლავს...

საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ბერიძეთა გვარი ტრადიციისამებრ ვულოცავთ ქრისტეს შობასა და ახალი, 2021 წლის შემოგრძანებას ქართველ ერს, მის სულიერ მამას – ილია II-ეს, ხელისუფლების ოთხივე შტოსა და ყველა ღირსეულ მამულიშვილს. დაე, ეს 2021-ე წელი ყოფილიყოს მშვიდობის, ერის გამოჯანმრთელების (როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად), რწმენის, სიკეთის, ქვეყნის გამთლიანების, სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის განმტკიცების სიმბოლო!

– ქართველ ერს, უპირველეს ყოვლისა, ვუსურვებთ გამრავლებას, მარადიულ სიცოცხლეს, გონიერებას, დიდ შრომასა და ნაყოფიერ შემოქმედებას, რათა კვლავაც შეიტანოს ღირსეული წვლილი მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში;

– ერის სულიერ მამას – ილია II-ეს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ქართველი ერის საიმედოდ;

– ხელისუფლებას – უხმოს გონიერებას ქართველი ხალხის აზრთა საუნჯიდან და შეიმუშაოს ერის განვითარების მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმები ქვეყნის აღმშენებლობის უზრუნველსაყოფად;

– მეცნიერებს და პრაქტიკოსებს – რათა თვალსაჩინოდ იღვაწონ სამშობლოსათვის; ყველა ოჯახს – რათა კიდევ ერთი შვილი აჩუქონ ქართველ ერს; გულითადი მილოცვა და მადლობა ქართველ მედიკოსებს; განსაკუთრებით გვსურს მივულოცოთ საქართველოს ულამაზესი კუთხის – აჭარის (სადაც ბერიძეთა გვარის 60% ცხოვრობს) თავკაცებს, რომლებსაც ბედმა არგუნა ურთულეს პერიოდში აჭარაში მოღვაწეობა; ვულოცავთ უვცხოეთში მცხოვრებ ყველა იმ ქართველს, ვინც ჯერ კიდევ ქართული სულით ცხოვრობს; ყველა იმ ახალშობილს, რომელიც ბავშვობიდანვე ერის სალოცავ ტაძარში რწმენისა და სამშობლოს სიყვარულის ჩაუქრობელ კელაპტარს დაანთებს;

გულითადი მილოცვა და უღრმესი მადლობა ერის ღირსეულ და გამორჩეულ მამულიშვილს, საჩხერეში დაბადებულ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ყელში გაეჩხირა ფულზე დახარბებულ, მამულის გამყიდველ და კაცის გამაუპატიურებელ „პატრიოტებს“ და დაოკება უბოძა. ქართველი ერი ცხოვრების შავი ლაბირინთებიდან გამოიყვანა და ნათელ გზაზე დააყენა; როგორც ამბობენ, ანგოლაში, ანტარქტიდასა და ციმბირში „ნაშოვნი“ ფულით ერს დედაქალაქში ბრწყინვალე სალოცავი, სამების ტაძარი აუშენა. აღარაფერს ვამბობ მის დიდ ქველმოქმედებასა და ათასობით აშენებულ ობიექტზე. ქართველებმა ხომ ცოცხალი დიდი კაცის დაფასება არ ვიცით, მაგრამ გავა ათეული წლები, მისი სახელი და გვარი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართველი ერის ისტორიაში. სიკეთე და სიხარული მის მოდგმას!

მამულიშვილნო, ქრისტე იშვა! ახალი წელი შემობრძანდა და ახალი ცხოვრება იწყება. ღვთისმშობელმა დალოცოს ქართველი ერი და მისი წილხვედრი საქართველო, ხოლო ძემ მისმან რწმენა, შრომა და შემოქმედებითი წარმატებები უწყალობოს ქართველ ერს და ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს! პატივი მივაგოთ ჩვენი წინაპრების მარადიულ წმინდა სავანეს, რათა ჩვენი მამა-პაპის სულებმაც ილოცონ ერის მომავლისათვის!

ჩვენო ქართველებო, დანო და ძმანო, მოდით, ამ საუკუნეში ერის ერთსულოვანი გაერთიანება და ერზე გულითადი ზრუნვა იწყება! განვკურნოთ ერი ფსიქოლოგიური დეპრესიისაგან და ერთობლივად დავიწყოთ ქვეყნის აღმშენებლობა. წინ წამოვწიოთ უმთავრესი პრიორიტეტ-გამოწვევები და მათი გადაჭრით საფუძველი ჩავუყაროთ ერის ცივილიზებული წესით განვითარებას. ბერიძეებს მიგვაჩნია, რომ ჩვენი სამშობლო უნდა ეფუძნებოდეს, როგორც მინიმუმ, 3 დედაბოძს, ესენია: სულიერება, სამართლიანობა და ეკონომიკა. მოკლე თეზისების სახით ერს ვთავაზობთ ამ პრობლემათა გადაწყვეტის აუცილებლობას.

ქართველი ერის სულიერი, სამართლებრივი და ეკონომიკური პრობლემები

ქართველ ერს განვითარების დიდი და სახელოვანი ისტორია აქვს. ახალმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა ცხადჰყო, რომ ქართველები პირველები ყოფილან მეტალურგიაშიც, მათ დაუწყიათ რკინის დნობის პროცესი, რომლის ტექნოლოგიას საიდუმლოდ ინახავდნენ. დღეს ბავშვებს ზღაპრის დონეზე ასწავლიან ბერძენი იასონის საქართველოში „ვიზიტს“ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ჩემი ღრმა რწმენით, სტუმრისა და მისი მეფის მთავარი მიზანი ქართული დამწერლობისა და რკინის დნობის საიდუმლო ტექნოლოგიის გაცნობა და მოპოვება იყო!!!

მომავალ თაობებს უნდა ვასწავლოთ, რომ მსოფლიოში პირველი ქრისტიანული სალოცავი საყდარი დიდ აჭარაში აშენდა!

ჩვენი ნაკლი ისაა, რომ ჩვენივე წარსულს ფეხით ვთელავთ და მას არ ვაკავშირებთ მომავალთან. ისტორიული წინსვლა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იცი, ვინა ხარ, საიდან მოდიხარ და საით მიდიხარ. ეს თუ არ იცი, მაშინ ეს სვლა ფუჭია დროსა და სივრცეში. ყველა განსწავლული ერი ცდილობდა და ცდილობს, ფაქიზად მოუაროს იმ ხილულ და უხილავ ძაფს, რომელიც აკავშირებს წარსულს არათუ აწმყოსთან, არამედ მომავალთან. წარსულისა და მომავლის უწყვეტობა არის ის დიდი მიზანი, რასაც ემსახურება ჩვენი კულტურაც. ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ისტორიულ ეროვნულ ფასეულობებს.

ქრისტიანული მართლმადიდებლობის დიდად მორწმუნე და ერთადერთი ქართველი დოქტორი თეოლოგოსი, არქიმანდრიტ-პროფესორი გრიგოლ ფერაძე პარიზში „წმინდა ნინოს“ ეკლესიის გახსნაზე ქადაგებისას ბრძანებდა: **„...ყველაფერი ამქვეყნად წარმავალია, ყველაფერი ქრება, ყველაფერს თავისი ფასი აქვს, იყიდება ან გაიყიდება. ერთია განძი, რომელსაც ფასი არ დაედება და უკვდავია, რომლისთვისაც ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ სიცოცხლე არ დაიშურა, ეს არის ღირსება ადამიანის სულისა. ამ სულს უნდა ვემსახუროთ, რომ დავიფაროთ ის ათასგვარი განსაცდელისგან... კურთხევა უფლისა ჩვენზედა მისითა მადლითა და კაცთმოყვარეობითა ყოვლადვე აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“**

დღეს ქართველთა სულიერად გაერთიანება-შეკავშირება ისეა საჭირო, როგორც საარსებოდ ჰაერი, წყალი და პური არსობისა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქართული ტომები პირველნი იყვნენ კავკასიაში, რომლებზედაც გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი ბრძანებდა: **„მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ დამოუკიდებლობას... აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია. მსოფლიო ისტორიაში პროგრესი კავკასიის რასის წყალობით ხდება“** (მას მხედველობაში ჰყავდნენ ქართველები და ჩერქეზები). იქნებ, ყველამ ვაღიაროთ სულის სიდიადე და გავერთიანდეთ სულიერად.

სამართლებრივი პრობლემა ქართველი ერის აქილევსის ქუსლია, თუმცა იგი ერისა და ქვეყნის განვითარების, ზნეობრივი და კანონიერი განვითარების საყრდენ-საფუძველია! ძველი რომაელი ფილოსოფოსი და რიტორი მ. ციცერონი წერდა: **„თუ ქვეყანა არ დგას სამართლიანობის დედაბოძზე, მას განვითარების პერსპექტივა არა აქვსო“.** ქართველმა ერმა ვერა და ვერ მოიშორა უსამართლობის მძიმე ავადმყოფობა. ჩემი აზრით, მიზეზი ის გახლავთ, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, ერი კი – ლმობიერი და მიმტევებელი. სამართლიანობის დარღვევის შემთხვევაში „გახურდება“ ნათესაობა, მეგობრობა, ძმა-ბიჭობა, ძღვენთ მირთმევა, ფულისადმი თაყვანისცემა და ა.შ. საბოლოოდ კი ვიმკით იმას, რომ ძღვენის (თუ ქრთამის) მიმცემნიც და ამღებნიც ლახავენ ზნეობრივ დაუწერელ კანონებს – ადამიანურ ღირსებებს. „რაღაცის“ (თუ „ვიღაცის“) გამო გამომძიებელი ცოტა „შელამაზებულად“ იძიებს, პროკურორი საკითხს „სასურველი“ მხრიდან იხილავს, მოსამართლე ზეწოლას განიცდის და გამოაქვს არასრულყოფილი (მრუდე) განაჩენი (გადაწყვეტილება), ხელმოცარული ადვოკატი კი გაჰკივის: მოსამართლემ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა ის კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინაო! ჩვენ არ გვინდა რომელიმე დროის, რომელიღაც სფეროს რომელიმე მუშაკი შეურაცხვყოთ, რადგან ამაში სისტემა და ხელისუფლებაა დამნაშავე, რადგან გამომძიებელსაც, პროკურორსაც და მოსამართლესაც ისეთი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ, რომ დამატებით შხამიან „შემოსავალზე“ არ იფიქრონ. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგის სახით ვიღებთ იმას, რომ პრეზიდენტი იწყალებს ყაჩაღს, მკვლელს, მილიონების გამფლანგველს, გამოსცემს ფინანსურ ამნისტიას და ა.შ. სიტყვით კი ვაშენებთ ცივილიზებულ საზოგადოებას.

დიდი ქართველი მწერალი, ფილოსოფოსი, მოაზროვნე და მეჭურჭლეთუხუცესი – შოთა რუსთაველი ჯერ კიდევ XII საუკუნეში მოძღვრავდა ერს: **„რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!“**

ქართველ ერს თუ უნდა, შექმნას ცივილიზებული ქვეყანა, უნდა უზრუნველყოს კანონის უზენაესობა. ყველა კანონი მიღებულ უნდა იქნეს საზოგადოების ფართო წრის ჩართულობით, აზრთა შეჯერებისა და სამომავლო დანიშნულების განსჯის შედეგად. ქვეყანას უნდა მართავდეს კანონთა კრებული, როგორც „ცოცხალი“ სახელმწიფო მანქანა. თითოეული კანონი კონკრეტულ სამართალდამრღვევ ფაქტებზე უნდა იყოს აგებული. მომავალ თაობას სკოლის დაწყებითი კლასებიდანვე უნდა ვასწავლოთ სამართალმცოდნეობის დისციპლინა, რათა ბავშვმა თავის ფაქიზ ფსიქიკაში გაითავისოს კანონის სიდიადე, პატივისცემა და სიყვარული.

იქნებ, ხელისუფლებასთან ერთად, მთელმა ერმა იზრუნოს ამ მეტად საჭირო ფენომენზე!

ეკონომიკური პრობლემის სიდიადე! – ჩემთვის გაუგებარია, თუ სადღეისოდ რომელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში ცხოვრობს ქართველი ერი – უმრეწველო კაპიტალიზმში, ფეოდალურში, ველურ კაპიტალიზმში თუ ბაზრის ფორმაციაში? ყველა სავაჭრო ობიექტს „მარკეტი“ (ინგლისური სიტყვაა და ბაზარს ნიშნავს) დავარქვით, დიდ მარკეტებს – „მოლი“ და სანამ ხოჯის გალერეას შევქმნიდეთ, იქნებ დაფიქრდნენ ხელისუფლება და ერი, როგორ მოაწესრიგონ ეს სასიცოცხლო დანიშნულების სისტემა. სირცხვილია, ქართველი ხალხი იკვებებოდეს უცხოური წარმოების პროდუქტით – ხორბლით, გენმოდიფიცირებული კარტოფილით, კიტრით, პომიდვრით, ბოსტნეულით, ხილით და ა.შ. ერს არა აქვს მრავალპროფილიანი შემოწმებისა და კვლევის ლაბორატორია, რომელიც დაადგენს შემოტანილი ნაწარმის ავკარგიანობას. მოსაწესრიგებელია ფასები ენერგორესურსებსა და კვების პროდუქტებზე. შესაქმნელია ფასების მოწესრიგების ორგანო, ასევე, ფერმერთა და მეწარმეთა სახელმწიფო-კომერციული ბანკი. ჩემი აზრით, საქართველოში არაჯანსაღი ბიზნესგარემოა შექმნილი. ქვეყანაში ფერმერთა და მეწარმეთა რაოდენობა თითებზეა ჩამოსათვლელი. დღეს ერი ცხოვრობს ქაოსური ბაზრის ეპოქაში. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვან: ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ხილის, განსაკუთრებით ვაშლის მოსავლის სიმცირეს განიცდიან, მაგრამ ლიეტუვას რესპუბლიკაში, როგორც კი ვაშლი მწიფობას იწყებს, 30 აგვისტოს ამ ქვეყნის პარლამენტი იღებს დროებით დადგენილებას ვაშლის იმპორტზე საბაჟო გადასახადის გაორმაგების შესახებ, ვიდრე ქვეყანაში მოწეული მოსავლის სრული რეალიზაცია არ მოხდება. ამით საკანონმდებლო ორგანო ეხმარება ყველა ფერმერსა და მეწარმეს მოსავლის გასაღებაში! ჩვენთან კი...

არცთუ დიდი ხნის წინ წვრილად გავეცანი ქართველი ერის ღირსეული შვილის, პროფესორის, ბატონი ნოდარ ჭითანავას აკადემიურ ნაშრომს, სქელტანიან წიგნს **„საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“**, რომლის გაცნობით აღფრთოვანებული დავრჩი. ერი, რომელსაც ასეთი ღირსეული, გამოცდილი და რეფორმათა იდეების ავტორი ჰყავს, ისევე, როგორც პროფესორები: ვლადიმერ პაპავა, მიხეილ ჯიბუტი, იური პაპასქუა, მიხეილ თოქმაზიშვილი, იოსებ არჩვაძე და სხვა მრავალი, უხერხული და სირცხვილია, ქართველი ერი ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრობდეს და სანახევროდ შიმშილობდეს!!! ჩემი აზრით, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსთან (პარლამენტთან) 20 კვალიფიციური და ეროვნული იდეებით აღჭურვილი სპეციალისტისგან უნდა შეიქმნას „ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისა და ქვეყნის ფინანსური მეურნეობის რეგულირების ეროვნული საბჭო“. საბჭოს გადაწყვეტილებებს უნდა ექნეს მაღალი ხარისხის სარეკომენდაციო ხასიათი. საბჭოს ხელმძღვანელი შეყვანილ უნდა იქნეს როგორც პარლამენტის ბიუროს, ისე საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში. ეს იქნება მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი გადაწყვეტილება, რადგან რუსეთიდან მოწვეული რეფორმატორის მიერ შემოღებულმა „ეკონომიკის მდგრადი განვითარების“ იდეამ, ფაქტობრივად, „ეკონომიკის მდგრადი დგომის“ შედეგი მოიტანა; ქვეყანაში პროდუქციაზე თუ ფასები 4-5 წელიწადში გაიზარდა 150-200 პროცენტით, პენსიები გაიზარდა მხოლოდ 40-50 %-ით. მოსაწესრიგებელია ეროვნული ვალუტის სიმყარე (რით უნდა იყოს იგი უზრუნველყოფილი), გასატარებელია ქმედითი, რეალური რეფორმები, რაც ეროვნული წინსვლის შედეგს მოიტანს და ა.შ. აღარაფერს ვამბობ მრეწველობაზე და ახალ ტექნოლოგიებზე, რომელთა სფეროშიც სრული „ყამირია“. ქვეყანამ ფაქტობრივად დაკარგა ლიდერის პოზიცია კავკასიაში...

ყველამ ერთად, ერთსულოვნად, სამართლიანად და შედეგიანად ვიფიქროთ ქართველ ერსა და საქართველოზე!

ბერიძეთა მრავალრიცხოვანი გვარი ერსა და ბერს ვუსურვებთ სამშობლოს ეკონომიკურ აღორძინებას და ურთიერთშორის გულითად სიყვარულს!

მამულიშვილური თანადგომით,

ვაჟა ბერიძე,

ბერიძეთა საგვარეულო დარბაზის ეთნარქი, ეკონომიკის დოქტორი, ადიგენის საპატიო მოქალაქე.

2021 წლის 15 იანვარი

№ 14-15. ხუთშაბათი-ორშაბათი, 21-25 იანვარი, 2021 წელი.

მესამე სამყაროდან პირველში - ნახტომით!

გასული 2020 წელი არ არის მხოლოდ ერთ-ერთი მორიგი წელი დროის ათვლაში. მისმა დრამატულობამ კიდევ ერთხელ (ამჯერად, უფრო მეტი სიმწვავით) დაგვანახა იმ გამოწვევათა მთელი სიმძაფრე, რომლებიც რამდენიმე მასშტაბური კრიზისის თანხვედრით შეიძლებოდა წამოჭრილიყო. პრაქტიკულად, მოხდა ისე, რომ საერთაშორისო პოლიტიკური ხაზის გამრუდების, ეკონომიკური დისბალანსისა და არაადეკვატური მართვის სისტემების პარალელურად, გლობალურმა პანდემიამ ძველი იარებიც უფრო გააშიშვლა და უკვე ნაცნობ სურათს ახალი, დღემდე უცნობი შტრიხები შეემატა.

ამ პროცესის ბუნებრივი შედეგია პანდემიით გამოწვეული რისკებისა და საფრთხეების კვლევა, მათი უწყვეტი დიაგნოსტიკა და გამოსავლის ეფექტიანად გადაწყვეტის გზების ძიება. უდავოა, რომ წამოჭრილ პრობლემატიკაზე მუშაობისას აკადემიური ცოდნის გაღრმავება მნიშვნელოვანია, მაგრამ გაცილებით რთული და საპასუხისმგებლოა შესატყვისი ცოდნის იმგვარად ადაპტირება, რომ მან მეტად კონკრეტული საჭირბოროტო საკითხების რეალურად გადაჭრას შეუწყოს ხელი.

ასეთი მრავალკომპონენტიანი ამოცანის ამოხსნა საქართველოს წინაშეც დგას. ჩვენ თანაბარი სიზუსტით უნდა გავაანალიზოთ როგორც გლობალური და რეგიონული ტენდენციების დინამიკა, ისე შიდასახელმწიფოებრივი გამოწვევების ანატომია; მივაგნოთ პირველი ორის ურთიერთმიმართების გავლენას მესამეზე; ასევე, მინიმალური ცდომილებით განვსაზღვროთ ეროვნული ცნობიერებისა და ინსტიტუციონალური განვითარების მსოფლიო მოვლენებთან შესატყვისი ფორმები. ამ ამოცანას ისიც ართულებს, რომ ჯერ კიდევ შემორჩენილი, ე.წ. საბჭოური მემკვიდრეობის საბოლოოდ დაძლევის პარალელურად, გადაუდებელი ამოცანაა არათუ ხვალინდელზე (დრო უკან მოხედვის გარეშეც სწრაფად გარბის), არამედ ზეგინდელზე ორიენტირებული, თანამედროვე ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის იდეის მატერიალიზაცია.

ზემოთ პრაქტიკისგან მოწყვეტილი თეორიული ვარჯიშის უსარგებლობა ვახსენეთ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ნებისმიერი საქმის წარმატების სათავე მისი კონცეპტუალურად სწორი საწყისების გააზრება, სისტემის განმსაზღვრელი პრინციპების დასაბუთება და იმ ოპტიმალური წერტილის მიგნებაა, რომელიც ისტორიული მეხსიერების, მიმდინარე პროცესისა და სახვალიო მოზაიკის ურთიერთკვეთის შედეგად ჩნდება. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი იმის მიღწევა, რის არარსებობაზეც ხშირად ვსაუბრობთ, – ესაა ქვეყნის განვითარების სისტემური ხედვის ჩამოყალიბება, მის ირგვლივ საზოგადოების კონსოლიდაცია და, უკვე ამ დროსა და თაობაში, ჩვენი ერის „მესამე სამყაროდან პირველში ნახტომით“ თანამედროვე ქართული ისტორიული სასწაულის მოხდენა.

ვინაიდან ამ სტატიის მიზანი მხოლოდ მოწოდება და შეხსენება არ არის, თქვენთან ერთად ვეცდებით, რამდენიმე არსებითი გარემოება თუ ფაქტორი მოვნიშნოთ, რომელთა გაუთვალისწინებლად გრძელვადიანი და თანმიმდევრული სახელმწიფოებრივი განვითარება მუდამ რუტინულ თავსატეხთა მძევლად რჩება, ხოლო ეროვნული ენერგია, ნიჭი და რესურსი ყოველდღიური, დაუსრულებელი მორევის – „ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ – დაძლევას ხმარდება. მთლიანობაში კი, შესაძლოა, შედეგად მივიღოთ ერთ წრეზე მოძრაობით „მიღწეული“ ვითომდა წარმატებებითა და თვალთმაქცური გამარჯვებებით „აღსავსე“ ილუზია. რა თქმა უნდა, ასეთი რამ არც ერთი ჩვენგანის ინტერესში არ შედის, – ჩვენი საერთო წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი ბუნებრივი ერთობაა.

გარემო, რაც ჩვენ ირგვლივ ყალიბდება

რამდენადაც მოკრძალებულია საქართველოს როლი თანამედროვე გლობალურ პროცესებში, იმდენად დიდია ამ პროცესების გავლენა ჩვენი ქვეყნის დღევანდელობასა და მის განვითარებაზე. ვფიქრობთ, ასეთი ურთიერთკავშირის ახსნა რთული არ იქნება, თუკი გავიხსენებთ საერთაშორისო ურთიერთობის გადაწყობას თითქოსდა უკვე კარგად ნაცნობი საფუძვლებიდან ახალ, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, მეტად რთულ, სარისკო, ზოგან – მღვრიე და ახალ, დაუტესტავ საწყისებზე.

ამ პროცესის შესახებ შარშან არაერთხელ ვისაუბრეთ, ხოლო რამდენიმე პუბლიკაციაში შევეცადეთ, დაგვეკონკრეტებინა და განგვეხილა მისი ნიშნები და სპეციფიკურობა. ასევე, ეს პროცესი არაერთხელ დავაკავშირეთ საქართველოს დღის წესრიგთან; ავხსენით, თუ რომელ საკვანძო მიმართულებებზე გადის ესა თუ ის კავშირი და როგორი უნდა იყოს საქართველოს მხრიდან მიზანმიმართული რეაგირება ან, გნებავთ, პრევენცია გლობალური ტრენდების მავნე გავლენის შეძლებისდაგვარად შემცირებაზე; როგორ უნდა მოხდეს დადებით ტენდენციებთან შეწყობა და სარგებლის მაქსიმალურად გამოყენება.

ამ თვალსაზრისით განსახილველი საკითხების ჩამონათვალი ვრცელია, თუმცა, ამჯერად, საგანგებოდ, მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით – არა ზოგადი ექსტრაპოლაციის, არამედ ჩვენს ქვეყანასთან მათი ბუნებრივი ბმის გამოსაკვეთად. ვფიქრობთ, აქ ჩვენთვის უპირობოდ გასათვალისწინებელია საერთაშორისო ურთიერთობათა ახალ სისტემაში დიდი სახელმწიფოების როლი და წონა – ისევე, როგორც მათი ურთიერთმიმართება გლობალურ და ამა თუ იმ რეგიონალურ კონტექსტში. „პირველი რიგის ქვეყნების თანავარსკვლავედისადმი“ ასეთ საგანგებო ყურადღებას მარტივი დასაბუთება აქვს: საერთაშორისო ურთიერთობებზე სხვადასხვა სწავლების, სკოლის, მოძღვრებისა თუ პრაქტიკული დოქტრინის მიუხედავად, ამ ურთიერთობების ბუნება და შინაარსი დაფუძნებული იყო ერთ მარტივ და ულმობელ ფაქტორზე და ეს განჭვრეტად მომავალშიც ასე დარჩება. ეს ფაქტორია მსოფლიო გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სცენაზე „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ – გლობალური და ზერეგიონალური სახელმწიფოების ძალა და პროცესებსა და შედეგებზე მათი ზემოქმედება. მართალია, მეოცე საუკუნისა და ამ საუკუნის სხვადასხვა ეტაპს თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები მომხიბლავი დოქტრინიორული სახელწოდებებით „აფერადებდნენ“ ხოლმე, მაგრამ მაშინაც კი მათ უკან ჰობსის სამყაროს აჩრდილით ნასაზრდოები რეალიზმის კანონები იდგა. თემაზე საუბარს არც იმით გავაუბრალოებთ, თითქოსდა ძალა აღმართს ყოველთვის ხნავს. რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის ასე არაა, მაგრამ უმეტესად ასეა. ამისათვის კი მზად უნდა ვიყოთ, – როგორც ქართული რეალიზმის შესატყვისი იდეოლოგიისთვის, ისე ამ იდეოლოგიასთან ეროვნული რესურსის სწორი და ადეკვატური მისადაგებისთვის.

ქართველობას დღეს მსოფლიოში არაერთი მეგობარი და პარტნიორი ჰყავს. გვყავს მტრებიც და მოშურნენიც: ზოგან – ღია და ზოგანაც – ფარული. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს მეგობართა და მტერთა ბალანსი თუ განტოლება, ახალი მსოფლიო წესრიგის გზავნილი უშეცდომოდ ასე იკითხება: ჩვენი განვითარებისა და ინტერესების ადვოკატირების საქმეში, უწინარეს ყოვლისა და უმეტესწილად, საკუთარი თავის იმედად უნდა ვიყოთ. ხოლო, როგორიც უნდა იყოს საერთაშორისო სისტემისა და სამართლის მხარდაჭერა, მისი ეფექტიანობა და შედეგიანობა მაინც უმთავრეს საძირკველს – ქართულ რეალიზმს, კვალიფიციურ პრაგმატიზმსა და, ღირებულებების კუთხით, რაციონალიზმს უნდა დაეყრდნოს.

ახალი „ცივი ომი“?

ევრაზიაში ახალი გეოპოლიტიკური კონტურის გამოკვეთას დიდად განაპირობებს ე.წ. „ცივი ომი“ აშშ-სა და ჩინეთს შორის. აქ დეფინიცია „ეგრეთ წოდებულს“ შემთხვევით არ ვიყენებთ, – ამ სიტყვათა წყობის გამოყენებას ერთი გავრცელებული შეცდომა უკავშირდება: აშშ-სა და სსრკ-ს შორის „ცივ ომთან“ გაიგივება.

არადა, თუკი ამ ორ დაპირისპირებას შორის რამდენიმე ფუნდამენტურ სხვაობას გავითვალისწინებთ, ეს რეალურად შეცდომაა. დავიწყოთ იმით, რომ აშშ-სა და სსრკ-ს შორის „ცივი ომის“ წამყვანი ხაზი ორ იდეოლოგიურ ბანაკს შორის მეტოქეობაში გამოვლინდა მაშინ, როდესაც აშშ-სა და ჩინეთს შორის დაპირისპირება არა იმდენად იდეოლოგიაზე გადის, რამდენადაც გავლენის სფეროების განაწილებაზე. ჩინეთი მიიჩნევს, რომ რამდენიმესაუკუნოვანი „დამცირების“ ეპოქა დასრულდა და დადგა დრო, მსოფლიომ თვალი გაუსწოროს არა მარტო მათ სურვილს, არამედ დიდ სახელმწიფოდ დამსახურებულ აღიარებას. ბოლო წლების განმავლობაში ჩინეთის არაერთი თაოსნობა როგორც ქვეყანაში, ისე მის ფაგრლებს გარეთ – ამ ამოცანის მიღწევას ემსახურება. ეს თაოსნობები მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი.

ყურადსაღებია ოფიციალური პეკინის ტრადიციული რიტორიკა სხვა სახელმწიფოთა მიმართ ძალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით ისევე, როგორც ყურადსაღებია მისი აქტიურობა საერთაშორისო ინსტიტუტებსა და სხვადასხვა პროექტში. ჩინეთის ეს აქტიურობა განსაკუთრებით თვალშისაცემი ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში გახდა და მას აშშ-ის მხრიდან საერთაშორისო მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის შეკვეცა მოჰყვა. საგულისხმოა ის საგანგებო ყურადღებაც, რაც პანდემიამ ჩინური მართვის მოდელის მიმართ გამოიწვია და რამაც ლიბერალურ და სახელმწიფო კაპიტალიზმის ფორმებს შორის შედეგიანობაზე კამათი გაამწვავა.

სისტემებს შორის შედარების დეტალებს რომ არ ჩავუღრმავდეთ, საქართველოსთვის ამ დაპირისპირებას ერთი მეტად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: ჩვენ ვიმყოფებით ევრაზიული სივრცის ერთ-ერთ საკვანძო გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ შავი და კასპიის ზღვების მაკრორეგიონში. ევრაზიულ სივრცეზე სახელმწიფოთა დიდი კონკურენციის ახალი სერიის პირობებში, ამ მაკრორეგიონისადმი ურთიერთგანსხვავებული მიზნების ზრდა გარდაუვალია. ეს კი პირდაპირ უკავშირდება ჩვენი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი მედეგობის აქტუალურობას - ისევე, როგორც უკავშირდება კონსტიტუციით განმტკიცებული ჩვენი სტრატეგიული სამოკავშირეო ხაზის კიდევ უფრო გაღრმავებას, რათა მან ახალი ფორმები და შინაარსი შეიძინოს. ამასთანავე, ამ ხაზის გატარება (რაც ძალზე რთულია!) რამენაირად უნდა წარმოებდეს მსხვილ რეგიონულ მონაწილეებთან მუდმივი კომუნიკაციისა და დაძაბულობის მართვის რეჟიმში.

ერთი სიტყვით, ქართულმა რეალიზმმა, რაც შეიძლება, უმოკლეს ვადაში უნდა აითვისოს რეგიონში ჩვენი ეროვნული ინტერესების სხვა ინტერესებთან თანაარსებობის ორი უმთავრესი ინსტრუმენტი, რომელიც ქმედით შეკავებასა და ეფექტიან დიალოგში მდგომარეობს. გვესმის, რომ წამოჭრილ თემას განვრცობა სჭირდება, და იგი იქნება კიდეც ჩვენი შემდეგი მსჯელობის საგანი. ამჯერად მხოლოდ მოკლე მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

„მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში“

ყველამ დავიზეპირეთ ეს ფრაზა, რომელიც უკვე წლებია, გვესმის და რომლის რეალური დატვირთვა, ცნობილი ქართული სიმღერიდან ამონარიდისა არ იყოს, ის არის, რომ აწმყო, ტრადიციულად, არ გვწყალობს, მაგრამ მომავალი მაინც ჩვენი იქნება.

ცხადია, ევროატლანტიკურ ალიანსთან ინტეგრირების პროცესი უძრავად არ დგას: იგი წინ მიიწევს, ახალ ელემენტებსა და შინაარსს იძენს. ამავე დროს, ერთ ადგილზე გაჩერებული არც ჩვენი ქვეყნისა და მისი მოკავშირეებისათვის ყურადსაღები და საგანგაშო პროცესებია, ისინი, როგორც ჩანს, იმაზე სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე ნატოსთან საინტეგრაციო განცხადებების ინტენსივობა ან, თუნდაც, სათანამშრომლო პაკეტზე რამდენიმე ელემენტის დამატებაა. ამ გაგებით, ჩვენი საგარეო უწყების იმედისმომცემი შეფასებების მიუხედავად, ვფიქრობთ, არც ნატოს ბოლო სამიტის შემაჯამებელმა დოკუმენტმა შექმნა ის საჭირო ეფექტი, რაც ამ დროსთან და მის საჭიროებებთან პირდაპირპროპორციული იქნებოდა. ჩნდება განცდა, რომ ალიანსში ჩვენი გაწევრების დინამიკა ე.წ. „იმაზე ოდნავ გვიან, იმაზე ოდნავ მცირედით“ მიდგომას დაექვემდებარა, რაც მავნეა როგორც საქართველოს, ისე რეგიონში და მის მიღმა, ზოგადდასავლური უსაფრთხოებისათვის.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ პროცესში სასურველი რიტმისა და გაქანების არქონა მხოლოდ ბრიუსელის პოლიტიკურ ნებას ვერ და არ უნდა მიეწეროს. აქ ისევ უნდა გავიხსენოთ „ამოტრიალებული“ სამყარო, რომელიც კლასიკური „ცივი ომის“ შემდგომმა პერიოდმა დაგვიტოვა, პანდემიამ კი უფრო არაპროგნოზირებადი გახადა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა. ზოგადი გარემოს არაპროგნოზირებადობას საკუთრივ ალიანსის ფარგლებში ერთიანი პოლიტიკური ხაზის შესამჩნევი ფრაგმენტაცია დაემატა. ნათქვამის საილუსტრაციოდ, მაგალითისათვის დავასახელებთ ნატოს დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს შორის პოლიტიკურ-სოციალურ განსხვავებასა და არაერთგვაროვნებას; თურქულ თავისებურებას – „აკეთოს ის, რაც, პირველ რიგში, თურქეთს წაადგება“; ევროპულ „სტრატეგიულ ავტონომიას“ – ტრამპის ცნობილი პოლიტიკის საპასუხოდ. მაგრამ ყოველივე ეს მაინც პრაქტიკული ამოცანების გადაჭრას მოწყვეტილი მსჯელობაა იმ ქვეყნის პირობებში, რომლის ტერიტორია ოკუპირებულია და მისი მცოცავი განვრცობა არ წყდება, ხოლო სამეზობლო გარემოცვა ამავე ქვეყნისათვის უსაფრთხოების რეალური (და არა დეკლარაციული) მექანიზმების დანერგვას მოითხოვს. ბოლოს და ბოლოს, საუბარია იმ ქვეყნის ინტერესების სრულად გათვალისწინებაზე, რომელსაც საერთო სიკეთისთვის თავისი წილის გაღებაში უკან არც ერთი წუთით დაუხევია.

ამ კონკრეტული საკითხის პრაქტიკულ ასპექტებს სათანადო ყურადღება წარსულშიც დაეთმო და ახლაც ეთმობა. აქ მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ პოლიტიკურად გაბედული გადაწყვეტილებებისა და ქმედითი ნაბიჯების დრო დადგა. ამ შემთხვევაშიც, ჩვენი ქვეყნისა და მისი მოკავშირეების მხრიდან განსახილველად რამდენიმე ვარიანტია – კოლექტიურით დაწყებული და რეგიონული ან ორმხრივი სისტემებით დამთავრებული. ისინი წინა პუბლიკაციებში აღვწერეთ. თითოეული გადაწყვეტილების დროულად გასაანალიზებლად და ცხოვრებაში უყოყმანოდ დასანერგად სათანადო მზაობა და რეალიზმია საჭირო. ეს საჭიროა საქართველოს მეტი ეროვნული და შავი ზღვის მეტი რეგიონული სტაბილურობისათვის და არა იმისთვის, რომ ჩვენს სამეზობლოში საფრთხის წყაროდ წარმოვჩნდეთ.

ვიქტორ ყიფიანი
„ჯეოქეისის“ თავმჯდომარე
(დასასრული იქნება)

№ 14-15. ხუთშაბათი-ორშაბათი, 21-25 იანვარი, 2021 წელი.

პლასიდო დომინგო - საოპერო სცენის „პატრიარქი“

1974 წელს მოსკოვის დიდ თეატრში „ლა სკალას“ საოპერო თეატრის დასი ჩამოვიდა საგასტროლოდ. ამ მოვლენის უყურადღებოდ დატოვება არ შემეძლო და... მოსკოვში იმ დროს ჩავედი, როცა პუჩინის ოპერა „ტოსკას“ ბოლო წარმოდგენა იმართებოდა. კავარადოსის მთავარ პარტიას პლასიდო დომინგო ასრულებდა. ოპერის დაწყების წინ დარბაზში გამოაცხადეს, რომ მომღერალი თავს კარგად ვერ გრძნობდა და მაყურებელს ბოდიშს უხდიდა მოსალოდნელი ხარვეზების გამო. ცოტა არ იყოს, მეუცნაურა წინასწარ გამოცხადება შემსრულებლის ავადმყოფობის შესახებ. ასეთ დროს მომღერალს სხვა პიროვნებით ცვლიან. როგორც ეტყობა, ხელშეკრულება ამას არ ითვალისწინებდა... და აი, ველოდები ავადმყოფი დომინგოს გამოჩენას. პირველი ფრაზები ცოტა სუსტად მომეჩვენა, წინასწარმა გაფრთხილებამ თუ იმოქმედა, მაგრამ შემდეგ რაც მოხდა, ამან ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. ჩემ წინ იდგა მაღალი, ახოვანი, დახვეწილი და მომხიბლავი გარეგნობის ბრწყინვალე ტენორი, რომელმაც უმაღლეს საშემსრულებლო დონეზე იმღერა კავარადოსის პირველი, გამოსასვლელი არია. ბოლომდე გრძნობდა რა მუსიკალურ ხაზს, მისი ლირიკულ-დრამატული ტენორი სრულად ავსებდა დიდი თეატრის დარბაზს. მუსიკალური ფრაზების ერთმანეთში გადაბმა ისე ხდებოდა, გეგონება არ სუნთქავსო. ზოგჯერ შესრულება დრამატული და ემოციური იყო, რომელიც ზომიერების ფარგლებს არ გასცილებია. მისი ხმის ტემბრი ხან რბილი და მოალერსე, ხან კი, ძლიერი და მჭექარე გახლდათ. თავისუფლად, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე ჟღერდა მაღალი ნოტები, რომელიც ინტონაციურად იყო ზუსტი და სუფთა. მომღერალს აშკარად ეტყობოდა კარგი ვოკალური სკოლა და მაღალი აკადემიურობა, რაც აძლევდა გარანტიას შეექმნა შინაგანი განცდით განწყობილი კავარადოსის სრულყოფილი სახე. მაყურებელმა აღფრთოვანებული ოვაციები გაუმართა უნიკალურ შემოქმედს. მათ შორის მეც გახლდით. სპექტაკლის შემდეგ სულ ვფიქრობდი: „ავადმყოფი“ დომინგო რომ ასე მღერის, კარგად მყოფი რაღას იზამდა?

იგი დაიბადა 1941 წლის 21 იანვარს მადრიდის ერთ-ერთ კვარტალ ბარიო დე სალამანკაში. მამამისი — პლასიდო დომინგო (უფროსი) და დედა — პეპიტა ემბილი (წარმომავლობით ბასკი), ესპანური მუსიკალური ჟანრის — სარსუელის ვარსკვლავები იყვნენ. 1949 წელს 8 წლის პლასიდოს ოჯახმა ესპანეთი დატოვა და მექსიკაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მისმა მშობლებმა საკუთარი თეატრალური დასი ჩამოაყალიბეს. უკვე 14 წლის ასაკში იგი მეხიკოს ნაციონალური კონსერვატორიის სტუდენტი ხდება, სადაც ვოკალთან ერთად დირიჟორობას და ფორტეპიანოზე დაკვრასაც სწავლობდა.

16 წლის ასაკში მას,როგორც მომღერალს დებიუტი ჰქონდა მშობლების მიერ შექმნილ დასში. 1958 წელს მონაწილეობდა მუსიკალურ ჯგუფში სეზარ კოსტას ხელმძღვანელობით. მისი პირველი როლი იყო ბორსა ვერდის ოპერა „რიგოლეტოში“. შემდეგ მან შეასრულა უფრო მნიშვნელოვანი კაპელანის პარტია პოლენკას ოპერაში „კარმელიტებთან დიალოგი“.

პლასიდო სრულიად ახალგაზრდა, 16 წლის ასაკში მოეკიდა ოჯახს, მან ცოლად შეირთო მექსიკელი პიანისტი ანო მარია გეროი, რომელთანაც ვაჟი ხოსე შეეძინა. ჯერ კიდევ ადრეულ წლებში, ახალგაზრდა მამის როლში მყოფი, ნებისმიერი მიმართულების მუსიკალურ საქმიანობას ეწეოდა: მღეროდა მიუზიკჰოლში, გასტროლებზე მყოფ საბალეტო დასს აკომპანიატორობას უწევდა, პარალელურად ბარებში მუშაობდა ტაპიორად; სატელევიზიო დადგმებში: პირანდელის, გარსია ლორკას და ჩეხოვის ნაწარმოებებში მცირე დრამატულ როლებს ასრულებდა, სპექტაკლებისთვის ფონის მისაცემად მუსიკას ქმნიდა. მეხიკოს რადიოში ორგანიზება გაუკეთა ახალ საკუთარ მუსიკალურ პროგრამას, ამეცადინებდა გუნდს სარსუელისა და მიუზიკლებისათვის, სადაც პირველად დადგა სადირიჟორო პულტთან; მუსიკალურად ეხმარებოდა დედას სოლო გამოსვლების დროს, მამის თეატრალურ დასში მღეროდა ბარიტონის პარტიებს; პროდიუსერობას უწევდა ამერიკულ პოპულარულ მუსიკას მექსიკის ხმის ჩამწერ სტუდიაში. „ჩემი ულამაზესი ლედის“ მექსიკურ დადგმაში მეორეხარისხოვანი როლი 185 სპექტაკლში შეასრულა, ხოლო „მხიარული ქვრივის“ დადგმაში 170-ჯერ გამოვიდა სცენაზე. ყველაფერმა ამან პლასიდო დომინგოს უდიდესი ცხოვრებისეული და პროფესიონალური გამოცდილება შესძინა.

რაღაც პერიოდში მეორეხარისხოვან პარტიებს ასრულებდა ოპერებში - „ტოსკა“, „ტურანდოტი“ და სხვა. დომინგოს პირველი მთავარი პარტია იყო ალფრედი ვერდის „ტრავიატაში“ 1961 წელს მონტერეის თეატრში. ამავე წლის ნოემბერში მისი დებიუტი შედგა მექსიკასთან ახლოს მდებარე ამერიკის ქალაქ დალასში, სადაც იმღერა არტურის პარტია დონიცეტის ოპერაში „ლუჩია დი ლამერმური“. ამ პერიოდშივე ირღვევა მისი ახალგაზრდული ქორწინება ანოისთან. სულ რაღაც ერთ წელიწადში 21 წლის პლასიდო, ქორწინდება ბასკური წარმომავლობის მომღერალზე — მარტა ორნელასზე, ვისთანაც მისი თანაცხოვრება დღევანდლამდე გრძელდება. მათ ჰყავთ ორი ვაჟი — პლასიდო უმცროსი და ალვარო მაურიციო.

1960 წელს მომღერალი თავის მეუღლესთან ერთად ტელ-ავივში გადადის, სადაც ებრაულ ნაციონალურ საოპერო თეატრში სამი წლის განმავლობაში 12 საოპერო პარტიით 280 წარმოდგენაში გამოდის. შემოქმედებითი საქმიანობის ამ მონაკვეთში, როგორც ეტყობა კლიმატური პირობებისა და დატვირთული რეპერტუარის გამო, დომინგოს ხმის პრობლემები შეექმნა, რომელიც მარტას და მათი ოჯახის მეგობრის ფრანკო იგლესიასის დახმარებით აღმოიფხვრა.

1965 წელს წყვილი ისრაელს ტოვებს, მარტა თავს ანებებს სიმღერას და მთლიანად ერთვება ოჯახურ და მეუღლის საკარიერო ცხოვრებაში. რამდენიმე წლის შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება შემოქმედებით საქმიანობას საოპერო პროდიუსერის, რეჟისორის და თეატრის დირექტორის რანგში. აღთქმული ქვეყნიდან დაბრუნებული დომინგო პირველად უკვე ნიუ-იორკში ჩნდება გინასტერის „დონა როდრიგოს“ პრემიერაში, ალბერტის როლში, რომლითაც „ნიუიორკ-სიტი“ ოპერამ ლინკოლნ-ცენტრში სეზონი გახსნა. აქ მიღწეული წარმატების შედეგად, მასზე, მიწვევების მთელი ნაკადი დაიძრა, მისთვის უკვე გახსნილი იყო საუკეთესო თეატრების კარები. 1967 წლიდან, დომინგო გასტროლებს იწყებს ევროპაში, ჰამბურგის სახელმწიფო ოპერის თეატრში ოპერა „ტოსკაში“, ხოლო ვენის თეატრში ოპერა „დონ კარლოსში“ მღერის. ერთი წლის შემდეგ ახალი ეტაპი იწყება ტენორის ცხოვრებაში, იგი „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ იწყებს ხანგრძლივ გამოსვლებს. აქ მისი პირველი როლი მაურიციო იყო ოპერაში „ადრიანა ლეკუვრიორი“, სადაც შემდგომ ოთხი ათწლეულის განმავლობაში, მის გარეშე, არც ერთი სეზონი არ ჩატარებულა.

საოპერო მომღერლისთვის ფიზიკურ ჯანმრთელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან საქმე გვაქვს უხილავ ინსტრუმენტთან, სხვა ყველაფერთან ერთად ამას ემატება ნერვიული სისტემის მდგრადობა, ემოციების მართვა და სიმშვიდის შენარჩუნება. ყველა ეს თვისება პლასიდო დომინგოს უხვად აღმოაჩნდა. 1969 წლიდან იგი დაუღალავად მოძრაობს ევროპასა და ამერიკას შორის: ვერონაში მღერის „ტურანდოტს“, „ლა სკალაში“ „ერნანს“, სან-ფრანცისკოში „ბოჰემას“. ერთი წლის შემდეგ მადრიდში დიდი წარმატებით გამოდის „ჯოკონდაში“, ედინბურგის ფესტივალზე „საზეიმო მესაში“, ვერდის „ბალ-მასკარადს“ მღერის მონსერატ კაბალესთან ერთად...

1971 წელს ლონდონის კოვენტ-გარდენში გამოდის „ტოსკაში“, ასრულებს მანრიკოს პარტიას ვერდის „ტრუბადურში“ და იმავე წელს ნიუ-იორკის სიტი ოპერაში დირიჟორობს „ტრავიატას“. ერთი წლის შემდეგ ტრიუმფით გამოდის ზალცბურგის ფესტივალზე „დონ კარლოსში“. 1992 წელს პირველად მღერის ბაჰრეინის ფესტივალზე ოპერა „პარსიფალში“. ამავე წელს იგი სევილიის მსოფლიო გამოფენის სამხატვრო ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებს. 2003 წელს პლასიდო ლოს-ანჟელესში რასპუტინის პარტიას ასრულებს ჯეემ რიზომის ოპერა „ნიკალაი და ალექსანდრას“ მსოფლიო პრემიერაში, ერთი წლის შემდეგ გამოდის სპეციალურად მისთვის დაწერილ მენოტის ოპერა „გოიაში“.

მეტად უჩვეულო მოვლენას ჰქონდა ადგილი მომღერლის ცხოვრებაში 2003 წელს: ლონდონში დღის სპექტაკლში ლეონკოვალოს „ჯამბაზებში“ იმღერა მთავარი პარტია, საღამოს კი იმავე ოპერას უდირიჟორა. 2012 წელს 71 წლის ტენორს 80 გამოსვლა ჰქონდა მსოფლიოს 25-მდე ქალაქში, როგორც მომღერალს და დირიჟორს. 75 წლის დომინგო 2016 წელს სოლო კონცერტს მართავს მოსკოვის კროკუს სიტი ჰოლში. მღერის როგორც ტენორის, ასევე ბარიტონის პარტიებს.

პლასიდო დომინგოს, როგორც ერთ-ერთ უნიკალურ შემოქმედს, არა ერთი რეკორდი აქვს დამყარებული, რომლებიც აუცილებლად შევლენ გინესის რეკორდების წიგნში. მოღვაწეობის თითქმის სამოცი წლის განმავლობაში, როგორც სცენაზე, ისე სტუდიაში მან 150 წამყვანი პარტია შეასრულა ოპერასა და სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის ნაწარმოებებში, იგი 400-ზე მეტჯერ იდგა სადირიჟორო პულტთან, 5000-მდე სპექტაკლში აქვს მონაწილეობა მიღებული, ჩაწერილი აქვს 100-ზე მეტი საოპერო სპექტაკლი, სოლო კონცერტი და კონცერტი სხვადასხვა ჯგუფთან ერთად. მთავარი პარტიებით 21-ჯერ გახსნა სეზონი „მეტროპოლიტენ-ოპერაში“, რომლითაც ლეგენდარული ენრიკო კარუზოს რეკორდი გააუმჯობესა!

ტენორის მიერ გამოშვებული, მილიონზე მეტი ალბომია გაყიდული, რომლებიც ოქროს და პლატინის სახითაც გამოიცა და მას 11 „გრემის“ ჯილდო მოუტანა. ჩაწერა ათეულობით საოპერო ვიდეო, არის ოთხი საოპერო ფილმის - „ტრავიატას“, „ოტელოს“, „კარმელინის“ და „ტოსკას“ თანაავტორი. მომღერალმა ასევე მიიღო „ემმის“ პრემია სატელევიზიო ფილმისათვის „სევილიის დიდება“ და „შეხვედრა ვერცხლის გალასთან“.

კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ დომინგო მიუხედავად ასაკისა და გადატანილი არა ერთი ავადმყოფობისა, თავის სამუშაოს ყოველთვის კეთილსინდისიერად და პატიოსნად ასრულებს, შემცირებული პროგრამით კი არ გამოდის, არამედ მსმენელს მრავალფეროვან და ფართო რეპერტუარს სთავაზობს, რითაც მაყურებლის განუზომელ მოწონებას და აღფრთოვანებას იწვევს. შეიძლება ამიტომაც, ცნობილმა ჟურნალმა „ნიუსუიკმა“ მას „საოპერო სცენის მეფე“ უწოდა.

დომინგო ხშირად ჩამოდიოდა მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, როგორც ვოკალისტთა კონკურსების ჟიურის წევრი. გამოდიოდა არაერთ ღონისძიებაში, მათ შორის ბათუმში გამართულ კონცერტში. 1993 წლიდან ყოველწლიურად მისი პატრონაჟით სხვადასხვა ქვეყნებში ტარდება ცნობილი კონკურსი „ოპერალია“, რომელიც უამრავ ნიჭიერ ახალგაზრდას უკაფავს გზას საოპერო სცენისაკენ.

ბოლო დროს დომინგოს წინააღმდეგ თავი იჩინა სექსუალური სახის კოლექტიურმა „ბრალდებებმა“. 27 ქალბატონი მომღერალს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებდა, რისთვისაც იგი სან-ფრანცისკოს საოპერო თეატრმა და ფილადელფიის სიმფონიურმა ორკესტრმა თავიანთი პროგრამიდან ამოიღო. ეს შემთხვევები 20-30 წლის წინ მომხდარ ამბებს უკავშირდებოდა. ჩემი აზრით, ალბათ ეს ის ქალბატონები არიან, ვინც მომღერლის დახმარებით პოპულარობა ვერ მოიხვეჭა, შეიძლება მათ თავის გამოჩენა უნდოდათ, ან მომღერლისგან ფულის გამოძალვას თუ ისახავდნენ მიზნად, თორემ საოპერო ხელოვნებაში პარტნიორი ქალბატონისადმი ყურადღება და პატივისცემა ეტიკეტით აუცილებელიც კი არის. სამწუხაროდ, ამ უგუნურმა „მოდამ“ ჩვენშიც შემოაღწია და რაღაც არანორმალური და მახინჯი სახე მიიღო. სცენაზე და ცხოვრებაში გამორჩეულმა ჯენტლმენმა პლასიდო დომინგომ, „მოძალადე“ ქალბატონებს ბოდიში მოუხადა და „პირობა დადო“, რომ ასეთი შემთხვევები აღარ განმეორდებოდა.

უნიკალურ შემოქმედს, მსოფლიო საოპერო ხელოვნების მეტრს, პლასიდო დომინგოს დღეს, 21 იანვარს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ჯანმრთელობა და მხნეობა ვუსურვოთ ამ გასაოცარ პიროვნებას, რათა თავისი ნიჭიერებით კვლავაც დიდხანს ემსახუროს უმაღლეს ხელოვნებას.

გელა ქოქიაშვილი

ტელ. 551491997, 2348483



ტრამპი ბაიდენის ადმინისტრაციას წარმატებებს უსურვებს

„მიმდინარე კვირას ახალი ადმინისტრაციის ინაუგურაციას ჩავატარებთ და ვლოცულობ, **რომ ამ ადმინისტრაციამ წარმატებებს მიაღწიოს ამერიკის უსაფრთხო და აყვავებულ ქვეყნად შენარჩუნებაში“,** — ნათქვამია დონალდ ტრამპის მიმართვაში, რომლის სრულ ვერსიას თეთრი სახლი მოგვიანებით გაავრცელებს. აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე დაგმო 6 იანვარს ვაშინგტონში მომხდარი არეულობა.

„ყველა ამერიკელი შეძრწუნებული იყო ჩვენს კაპიტოლიუმზე განხორციელებული თავდასხმით. პოლიტიკური ძალადობა თავდასხმაა იმ ყველაფერზე, რასაც ჩვენ ვაფასებთ. ამას არასდროს შევეგუებით“, — აღნიშნა დონალდ ტრამპმა. დონალდ ტრამპმა ასევე განაცხადა, რომ მოძრაობა, რომელიც მან დაიწყო, მხოლოდ დასაწყისია.

„ახლა, როდესაც ხელისუფლების ახალი ადმინისტრაციისთვის გადაცემისთვის ვემზადები, მინდა იცოდეთ, რომ მოძრაობა, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ, მხოლოდ დასაწყისია“, — აღნიშნა მან.

მსოფლიოს სჭირდება ამერიკის ლიდერობა

მსოფლიოს **კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის ლიდერობა სჭირდება,** — ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში, ჯუოზეფ ბორელმა განაცხადა. ევროკავშირის უმაღლესი რანგის დიპლომატმა ჯო ბაიდენს მოუწოდა, სათავეში ჩაუდგეს პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლას. ბორელის თქმით, შეერთებულმა შტატებმა კვლავ უნდა დაიკავოს ლიდერის პოზიცია და მსოფლიოს დაეხმაროს. ბორელმა ასევე ტრანსატლანტიკური ურთიერთობების ხელახლა მშენებლობასა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა. **„მხოლოდ ორი გადადგმული ნაბიჯით, ამერიკის კლიმატის შეთანხმებასა და ირანთან ბირთვულ შეთანხმებაში დაბრუნებით, სამყარო გაცილებით უკეთესი და უსაფრთხო იქნება“,** — თქვა ბორელმა.

უჰანელი ექიმების სკანდალური აღიარება

ჩინელ **ექიმებს ფარულად გადაუღეს ვიდეო, სადაც ისინი აღიარებენ, რომ იცოდნენ იმის შესახებ, თუ როგორი სახიფათო იყო 2020 წლის იანვარში უჰანში გავრცელებული კორონავირუსი, თუმცა მათ ხელისუფლების მხრიდან განუცხადეს, რომ სიმართლე უნდა დაემალათ.**

უჰანელი მედიკოსები აცხადებენ, რომ მათ ვირუსის შედეგად გარდაცვალებათა შესახებ უკვე იცოდნენ 2019 წლის დეკემბერში, მაგრამ ჩინეთის მთავრობამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას პირველი გარდაცვალების ფაქტის შესახებ მხოლოდ იანვრის შუა რიცხვებში შეატყობინა. ექიმები აღნიშნავენ, რომ მათ ისიც იცოდნენ, რომ ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე ვრცელდებოდა, თუმცა საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ მათ მკაცრად განუცხადა, რომ სიმართლის შესახებ არ ესაუბრათ, რათა არ ჩაეშალათ ხელისუფლების მიერ ორგანიზებული მთვარის ახალი წლის ფესტივალი.

„ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტი, შესაძლოა, შეჩერდეს ან დაიხუროს

მზარდი **პოლიტიკური ზეწოლის ფონზე, რუსეთის ბუნებრივი აირის უმსხვილესი მწარმოებელი კომპანია „გაზპრომი“ არ გამორიცხავს „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტის შეჩერებას ან სულაც დახურვას,** — ამის შესახებ ნათქვამია კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ისეთი მსხვილი საერთაშორისო პროექტების, როგორებიცაა „თურქული ნაკადი“ და „ჩრდილოეთის ნაკადი“, რეალიზაციისას ვაწყდებოდით და კვლავ ვაწყდებით სხვადასხვა რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებულ რისკებს, რასაც მივყავართ პროექტების სხვადასხვა ასპექტისადმი ჩვენი პარტნიორებისა და მარეგულირებელი ორგანოების პოზიციების შეცვლასა და ქვეყნებს შორის დაძაბულობამდე. ზოგმა ცვლილებამ, შესაძლოა, შეუძლებელი ან არამიზანშეწონილი გახადოს პროექტის განხორციელება ანუ გამოიწვიოს პროექტის შეჩერება ან გაუქმება“, — ნათქვამია დოკუმენტში.

მანამდე გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები 19 იანვრიდან სანქციებს დაუწესებს რუსულ გემ Fortuna-ს, რომელიც გაზსადენის პროექტის დასრულებაზე მუშაობს. გავრცელებული ცნობით, სანქციები დაუწესედება Fortuna-ს და მის მფლობელ კომპანია KBT-Рдц-ს. სანქციები პროექტის ბოლომდე მიყვანას შეუძლებელს გახდის. რუსული გემი Fortuna მას შემდეგ ჩაერთო პროექტის განხორციელებაში, რაც საერთაშორისო კომპანიები შეერთებული შტატების სანქციების გამო ვეღარ აგრძელებდნენ მილსადენის მშენებლობაში მონაწილეობას.

რუსეთი ყველა ღონეს ხმარობს, რათა სანქციების გვერდის ავლით, როგორმე დაასრულოს გაზსადენის მშენებლობა, რომელიც რუსულ ბუნებრივ აირს ბალტიის ზღვის გავლით ევროპასთან დააკავშირებს, თუმცა რუსეთის მცდელობები უშედეგოა. ამ დროისთვის მილსადენის პროექტის 90% განხორციელებულია. იგი შედგება ორი პარალელური ხაზისგან, რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერზე გადის და თითოეული მათგანის სიგრძე 1230 კილომეტრია. პროექტის მიხედვით მილსადენმა, უკრაინის გვერდის ავლით, ევროპას ყოველწლიურად 55 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი უნდა მიაწოდოს. ალტერნატიული გაზსადენის გამო უკრაინა ყოველწლიურად დიდძალ თანხას დაკარგავს. შეერთებული შტატები ეწინააღმდეგება პროექტს იმ მოტივით, რომ იგი აძლიერებს კრემლის ძალაუფლებას ევროპულ ენერგეტიკულ ბაზარზე და რუსეთი სჯის უკრაინას, რომელიც თავის აღმოსავლეთ პროვინციებში რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტების წინააღმდეგ იბრძვის. **„ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის პროექტი უზრუნველყოფს რუსეთიდან გერმანიისთვის გაზის მიწოდებას ბალტიის ზღვის ფსკერის გავლით, რითაც რუსეთი გეგმავს, თავისი მრავალწლიანი ზრახვა, შეამციროს ენერგომატარებლების ექსპორტის დამოკიდებულება უკრაინის გზით ტრანზიტზე, მოიყვანოს სისრულეში.**

ერმა თავი უნდა გადაირჩინოს და გამრავლდეს და არა, ძაღლებს გადაჰყვეს!

საკვალიფიკაციო დემოგრაფიული ვითარება

ასეთ **უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებაში, როდესაც ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას (გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ქართველი ერი მომაკვდავი ერების სიაში შეიყვანა), წელიწადში თბილისში 100 მილიონ ლარზე ბევრად მეტს ძაღლების მოვლა-პატრონობაში ვხარჯავთ.**

ამ თანხით შეგვიძლია თუნდაც იმერეთის რეგიონში შობადობის უაღრესად მნიშვნელოვანი წახალისების შედეგად, თითქმის ორჯერ გავზარდოთ შობადობა ან ქვეყნის მასშტაბით უბინაო მრავალშვილიანი ოჯახები ერთ წელიწადში მთლიანად ვუზრუნველვყოთ ბინებით. ამ მიზნით საჭიროა შესაბამისი ფონდის შექმნა, ოჯახებში თანდათანობით ძაღლების რაოდენობის შემცირება და მათზე გაწეული ხარჯების ნაცვლად ბევრად უფრო ადამიანური პრობლემების მოგვარება.

ერი ერმა უნდა გადაარჩინოს!

ახლა ისიც საკითხავია, რამდენად უსაფრთხოა ძაღლის ოჯახის წევრად მიჩნევა და შვილის ან შვილიშვილის სიყვარულთან გაიგივება, რასაც პროვინციალიზმის ბეჭედი აზის. ადამიანის ცხოვრება ნორმალური სოციალური ინტეგრაციის გარეშე წარმოუდგენელია. ადამიანი სოციალური არსებაა და მას აუცილებლად სჭირდება მრავალმხრივი, უშუალო ურთიერთობები, ენერგიების გაცვლა, რომლის გარეშე იგი საზოგადოების სრულყოფილი წევრი ვერ გახდება. ამიტომ სულაც არ არის უსაფრთხო ძაღლის ოჯახის წევრად მიჩნევა და ოჯახის წევრების სიყვარულთან გაიგივება. 30 წელიწადია სტრესულ მდგომარეობაში ყოფნამ, ტელევიზიების მიერ საშინლად ნეგატიური ინფორმაციის მასობრივად გავრცელებამ, გაძვირებულმა ცხოვრებამ, სოციალური დისტანციაც გამოიწვია, გარკვეულწილად ერი ფსიქიკურად დაავადდა. ადამიანები თანდათან კარგავენ ქართველი ხალხისთვის დამახასიათებელ, უნიკალურ ურთიერთობებს, რაც ალამაზებდა მათ ცხოვრებას. აშკარად იგრძნობა, რომ ეს ურთიერთობები გარკვეულწილად ძაღლების მოვლა-პატრონობამ, მათდამი ალერსმა და სითბომ შეცვალა და რაღაც დოზით მენტალური და სულიერი კულტურის ცვლილებებიც გამოიწვია.

თბილისში განსაკუთრებით მომრავლებული მაწანწალა ძაღლები მეტად საშიშია რაიმე ვირუსის გამრავლების მხრივაც, რამაც შეიძლება პანდემიის საზე მიიღოს. მაგალითად, კორონავირუსის ბუნება არ არის ცნობილი. მან შეიძლება მუტაცია განიცადოს, ძაღლს შეეყაროს და შემდეგ ადამიანზე გადავიდეს. ახლახან დამტკიცდა, რომ ვირუსმა წაულებში მუტაცია განიცადა და ადამიანებზეც გავრცელდა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში. კერძოდ, ვირუსის მუტირებული შტამი დანიაში 12 ადამიანს გამოუვლინდა, რის გამოც დანიის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება 17 მილიონი წაულის დახოცვის შესახებ.

დასასრული. დასაწყისი იხ. №7-11

აკაკის ლექსი

ძაღლები, როგორც ჩანს, საკმაოდ ჰყავდათ თბილისურ ოჯახებში მე-20 საუკუნის დასაწყისშიც. 1913-1923 წლების „აჭარისტანის სტატისტიკურ კრებულში“, რომელიც გამოცემულია 1924 წელს, ქალაქ ბათუმში კერძო ცხენების, ეტლებისა და ძაღლების პატრონები იხდიდნენ გადასახადს. მაგალითად, ამ გადასახადმა ბათუმის შემოსავალში 1913 წელს 305 მანეთი შეადგინა, 1914 წელს — 204 მანეთი, 1923 წელს კიდევ — 6273 მანეთი.

მაშინ დიდ ქალაქებში, როგორც ჩანს, ძაღლებზე გადასახადი იყო დაწესებული. ამავე კრებულში მოცემულია შედარებითი ცნობები ბათუმისა და თბილისის შემოსავლების შესახებ. 1914 წელს თბილისში კერძო ცხენების, ეტლებისა და ძაღლების გადასახადმა საკმაოდ სოლიდური თანხა შეადგინა — 40257 მანეთი, რაც ქ. თბილისის მთელი შემოსავლების 1,5 პროცენტს შეადგენდა (გვ. 100-111, 116).

ამჟამად ძაღლები ისე ანაგვიანებენ მთელ ქალაქს, რომ ასეთი გადასახადის დაწესება, ვფიქრობ, აზრს მოკლებული არ უნდა იყოს.

იმ პერიოდში ოჯახებში ძაღლებს ძირითადად ქალები უვლიდნენ. ამ მხრივ საინტერესოა აკაკი წერეთლის 110 წლის წინათ დაწერილი ლექსი „თანამედროვე ქალი“. „ახალი მოდის კნეინა“ ძლიერ დანაღვლიანებულია. მას არც ტოლ-ამხანაგები აინტერესებს, არც ცხენების ჯირითი და აღარც სამშობლო. დიდი პოეტი ჩვეული ენამახვილობით წერდა:

აბა, სამშობლოს დაცემულს
თუ იგლოვს, როგორც ვალია?
— არც ის! სამშობლო ვინ მისცა?
თანამედროვე ქალია!..

შემდეგ პოეტი აგვიწერს მისი მოწყენის მიზეზს

მაშ, ეგრე მაგის მოწყენა
მხოლოდ უბრალო ჟინია?
— რა ბრძანებაა? ავად ჰყავს
თვისი პატარა ფინია!!!
დღეს ექიმები შეჰყარა, —
კონსილიუმი ჰქონია.
ერთპირად უთქვამს სუყველას:
— არ მორჩებაო, მგონია!“
მაშ, კი ჰქონია მიზეზი...
მართლა რომ შესაბრალია!
რა ქნას, რომ უყვარს ძაღლები,
თანამედროვე ქალია!..

თითქოს გუშინ იყოს დაწერილი ეს ლექსი, ისე ეხმიანება ჩვენს დღევანდელ ყოფას. უამრავი პრობლემით დამძიმებულ სამშობლოში, მართლაც, შესაბრალისად მიმაჩნია ის ახალგაზრდები, ქალბატონები და მამაკაცები, რომლებიც დილით და საღამოს ძაღლებს საათობით ასეირნებენ, თან ხელში ქაღალდის ხელსახოცი უჭირავთ: თუ ძაღლი მოისაქმებს და ვინმე ამას დაინახავს, მაშინვე ძაღლის მოსაქმებულს პარკში ათავსებს, თუ არადა, განაგრძობს სეირნობას ძაღლთან ერთად...



ანზორ თოთაძე

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მალხაზ ჩხიკვაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მალხაზ ჩხიკვაძე (პ/ნ 01017008301), თბილისი, ბარნოვის ქ. №34

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ბარნოვის ქ. №34 (საკადასტრო კოდი: 01.15.02.034.009).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2536006 ლარი
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2021 წლის 4 თებერვალი, 12:00 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;
5. **მოვალე:** FRYONA COMMERCE LTD, თბილისი, დარიალის შესახვევი 2/17;
დიმიტრი კალანდაძე (პ/ნ 01008010505), თბილისი, ათენის ქ. №4;
ლაშა ქორიძე (პ/ნ 01026001073), თბილისი, ახალშენის ქ. 11, ბინა 38;
შპს „ჰექსა“ (ს/ნ 404503195), თბილისი, ნ. ჟვანიას ქ. 12, ბინა 5;
ივანე ბაქრაძე (პ/ნ 01016001933), თბილისი, დარიალის შესახვევი 2/17;
მალხაზ ჩხიკვაძე (პ/ნ 01017008301), თბილისი, ბარნოვის ქ. №34;
პაატა ქვლივიძე (პ/ნ 01008016933), თბილისი, დიღმის მასივი, 3 კვ, კორპ. 4, ბინა №10.
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;
7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 4 თებერვლის 12:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნანა გუსევას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანა გუსევა (პ/ნ 61003000616), ბათუმი, ნ. გოგოლის ქ. №1/3, ბინა №4

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, ნ. გოგოლის ქ. №7, ბინა №4 (საკადასტრო კოდი: 05.29.17.023.01.514https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 24488.51 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 21 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 4 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP69133321;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 691333
6. **მოვალე:** გიორგი ცინარიძე (პ/ნ 61001069840), ბათუმი, ნ. გოგოლის ქ. №1/3, ბინა №4.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP69133321; ლოტის ნომერი: 691333).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 4 თებერვლის 10:00 საათამდე.

ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲘᲓᲔᲜᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ეროვნული ბანკის რეკომენდაციით მომხმარებელთა პირადი მონაცემების დაცვის მიზნით, თვითმმსახურების ტერმინალებით სხვადასხვა გადარიცხვის ოპერაციის შესრულებისას, მომხმარებლის პირადი ნომრისა და მობილურ ტელეფონზე გამოგზავნილი სმს კოდის შეყვანა სავალდებულო გახდა. გადაწყვეტილება ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სტრატეგიის ნაწილია.

ამ საკითხზე განცხადებას, საქართველოს საბანკო ასოციაცია ავრცელებს.

„გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცესის გავლა შემდეგ სერვისებზე თანხის გადარიცხვისას სავალდებულოა: აზარტული თამაშები და ლატარია; ონლაინ თამაშები; დაზღვევა და კერძო საპენსიო ფონდები;

ფინანსური სერვისები, მათ შორის: ფიზიკური და იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე თანხის – შეტანა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სესხის გამცემი სუბიექტების სერვისები, ლიზინგი, ელექტრონული საფულის შევსება, ფინანსური ბაზრები და ფულადი გზავნილები; ინტერნეტმარკეტინგი; ტრანსპორტი და ლოჯისტიკა; ტურისტული მომსახურება; ქსელური მარკეტინგი; ქველმოქმედება; საკონსულტაციო მომსახურება; პოლიტიკური პარტიები; უძრავი ქონების ყიდვასთან დაკავშირებული სერვისები“, – ნათქვამია საქართველოს საბანკო ასოციაციის განცხადებაში.

ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ - ᲩᲘᲜᲔᲗᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ ᲙᲘ - ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

2020 ᲬᲚᲘᲡ ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 75.9 პროცენტი შეადგინა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ წინასწარ მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს. საქსტატის ცნობით, უმსხვილესი საექსპორტო სამეულში პირველ ადგილს 476.3 მლნ აშშ დოლარით ჩინეთი იკავებს. მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი – 441.3 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე რუსეთი – 441.1 მლნ აშშ დოლარით. ამასთან, წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.9 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედიან: თურქეთი – 1 407.0 მლნ აშშ დოლარით, რუსეთი – 887.2 მლნ აშშ დოლარითა და ჩინეთი – 708.7 მლნ აშშ დოლარით.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ელგუჯა კვინჩიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელგუჯა კვინჩია (პ/ნ 19001020757), ზუგდიდი, დ. ჯიქიას ქ. №41

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ზუგდიდი, სოფელი ერგეტა (საკადასტრო კოდი: 43.28.43.049https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 39348.99 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 21 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 4 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP69147221;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 691472
6. **მოვალე:** ელგუჯა კვინჩია (პ/ნ 19001020757), ზუგდიდი, დ. ჯიქიას ქ. №41;
გიორგი კვინჩია (პ/ნ 19001105305), ზუგდიდი, გამარჯვების ქ. №66;
გიზო არონია (პ/ნ 19001008570), თბილისი, დ. წყნეთი, ი. მაჩაბელის ქ. №8.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP69147221; ლოტის ნომერი: 691472).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 4 თებერვლის 10:00 საათამდე.

◎ ლეგიონერი

შევიდა და გაიტანა

თურქეთის სუპერლიგაში ლევან შენგელიამ მორიგი გოლი გაიტანა. „ქონიასფორი“ მეოცე ტურში „ტრაბზონსფორს“ ესტუმრა და 1:3 წააგო, პრესტიჟის ბურთი კი ჩვენებურის აქტივშია.

ლევანი თამაშში მხოლოდ 86-ე წუთზე ჩაერთო, როცა მისი გუნდი 0:3 მარცხდებოდა, 88-ე წუთზე კი საჯარიმოში რამდენიმე მცველის გარემოცვაში დიდებულად ითამაშა და მეკარეს შორეულ კუთხეში აუღებელი დაურტყა — კარგი გოლი გამოვიდა.

მიმდინარე სეზონში ეს შენგელიასთვის მესამე გოლი გამოდგა (17 თამაშში), მანამდე კი დუბლი სტამბოლის „ბეშიქთაშთან“ ჰქონდა შესრულებული. სხვათა შორის, მას შედეგიანი 2 პასიც აქვს და ისიც თურქული ფეხბურთის გრანდებთან — „ფენერბახჩესა“ და „გალათასარაისთან“.

რაც შეეხება „ქონიასფორს“, 22 ქულით სატურნირო ცხრილში მე-14 ადგილზეა და უფრო სუპერლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე ზრუნვა უწევს, ვიდრე მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა.

გიორგი ზოთაძე

◎ ოლიმპიზმი

რაოდენობას ამცირებენ

ტოკიოს ოლიმპიადის მასპინძლებმა კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიებზე მონაწილეთა რაოდენობის შემცირება გადაწყვიტეს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC) მოელის, რომ ფორუმის გახსნის ცერემონიაზე დაახლოებით 6 ათასი ათლეტი გამოვა.

თავდაპირველი გეგმით, გახსნის საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა უნდა მიეღო დაახლოებით 200 ქვეყნის 11 ათას სპორტსმენს და დელეგაციების სხვა წევრებს, მაგრამ კორონავირუსის გამო ცერემონიის მასშტაბების შემცირება გადაწყდა.

„ათლეტთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თამაშებზე მუშაობის გასამარტივებლად აუცილებლად მივიჩნევთ თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიების მონაწილეთა რაოდენობის გადახედვას, ასევე იმას, აღლუმის მონაწილეები რა გზით შევლენ სტადიონზე“, — ნათქვამია ტოკიო-2020-ის განცხადებაში.

ბადრი იაშვილი

◎ პირველებზე

ზოგის ბამბაც ჩხრიალებს



„სოვეტსკი სუდ სამი გუმანნი სუდ ვ მირეო“ — ხომ გახსოვთ. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაც საკმაოდ ჰუმანური ყოფილა, ოღონდ მაშინ, როცა საქმე დანაშაულის ჩადენისას შემამსუბუქებელ გარემოებებს ეხება.

საუბარია ქვეყნის სუპერთასზე „ბილბაოსა“ და „ბარსელონას“ ფინალური მატჩის დამატებითი დროის ბოლო წუთზე კატალონიელთა კაპიტან ლეო მესის მიერ მეტოქისთვის ნათავაზებ „იდაყვურზე“, რომელიც სადისციპლინო კომიტეტის შესაბამისი პარაგრაფის თანახმად 4-დან 12 მატჩამდე დისკვალიფიკაციას ითვალისწინებდა, მაგრამ ვინაიდან ფეირ-პლეის პრინციპის დამცველებმა მომხდარში დამამძიმებელი ფაქტორები ვერ იპოვეს, არგენტინელი მხოლოდ 2 შეხვედრის გამოტოვებით დასაჯეს — „სამეფო თასზე“ „კორნელიასთან“ და პრიმერა — დივიზიონში — „ელჩესთან“.

მანუჩარ გიორგაძე

◎ პანდემია

კორტიც უძლურია

მართალია, ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, ბოლოსდაბოლოს, 8-21 თებერვალს უნდა გაიმართოს, მაგრამ მოულოდნელად თავი ახალმა დაბრკოლებამ იჩინა, თუმცა, რატომ ახალმა?

მიხვდით, ალბათ, საუბარია მოგავალი გრანდ სლემის იმ 50(!) მონაწილეზე, რომლებიც მწვანე კონტინენტზე აბუ დაბისა და ლოს ანჯელესის რეისებით მიფრინავდნენ და აშშ-ის 2019 წლის ღია პირველობის კანადელი გამარჯვებულის **ბიანკა ანდრეესკუს** მწვრთნელმა სილვენ ბრუნომ კოვიდით დაინფიცირა.

მათ ორკვირიანი იზოლაციის პერიოდში აკრძალული ექნებათ სასტუმროს ნომრის დატოვება და მხოლოდ ველოტრენაჟორით სარგებლობა შეეძლებათ, ხოლო მელბურნში სამედიცინო პროტოკოლის დარღვევის შემთხვევაში ქვეყნიდან დეპორტირებულნი იქნებიან.

დავძენთ, რომ დავირუსებულთა შორის არიან თვითონ ანდრეესკუ, კერბერი, პლიშკოვა, ბენჩიჩი, კუზნეცოვა, აზარენკა, სტივენსი, ნიშიკორი და კუევასი.

აქვე შეგახსენებთ, რომ საკუთარ სახლში სრულ იზოლაციაში იმყოფება მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, დიდი სლემის ტურნირების სამგზის ჩემპიონი და ავსტრალიის ღია პირველობის ხუთგზის ფინალისტი, 33 წლის შოტლანდიელი **ენდი მარეი.**

ბეჟან დოლიძე

◎ რას არ გაიგებ...

ფონა რას მიქვიან!

ახალი სეზონის პირველი სახელბურთო ფორუმის — ეგვიპტეში დაწყებული ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატის მოვლენად კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების 130(!) — კილოგრამიანი გოლიათი გოტიე მვუმბი ტიერი იქცა, რომელმაც არგენტინელებთან გამართულ სასტარტო შეხვედრაში მეტოქის კარისკენ ბურთი ოთხჯერ ტყორცნა და ოთხივე გოლით დასრულდა.

საფრანგეთის მეოთხე დივიზიონის კლუბ „დრეუსის“ ორმეტრიანი აფრიკელი ლეგიონერის მონაგარი მის პარტნიორთა წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა — 23:29, თუმცა, ტიერი ეროვნულ სიამაყესა და მუნდიალზე თანამემამულეთა თამაშით მოგვრილ სიამოვნებას მაინც არ მალავდა: **„ეს ნამდვილი სიამაყეა — ატარო ნაკრების მაისური. არასოდეს მიფიქრია, რომ კარიერაში ერთხელ მაინც გამოვცდიდი ამას. აბსოლუტურად არაფერი გვაქვს დასაკარგავი, ამიტომაც ყველაფერს გავაკეთებთ და ჩვენს თამაშს ვითამაშებთ. მათაც ორ-ორი ხელი და ფეხი აქვთ ისევე, როგორც ჩვენ. ჩვენი მიზანი, უპირველესად, გართობა და ამ მუნდიალზე გადარჩენაა. ყველაფერს გავაკეთებთ და, შესაძლოა, ზოგიერთი გუნდი გავაბრაზოთ კიდეც“.**

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაც დათესეს...

დამსახურებული სანქცია

ჰოკეისტთა წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის 21 მაისიდან 6 ივნისამდე მინსკსა და რიგას უნდა ემასპინძლათ, მაგრამ მთელს ევროპაში გავრცელებული მოწოდებების გათვალისწინებით, ქვეყანაში მშვიდობიანი პროტესტანტების მიმართ მთავრობის აგრესიული დამოკიდებულებისა და განხორციელებული რეპრესიული პოლიტიკის გამო, ბელარუსს ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის საბჭომ აღნიშნული უფლება ჩამოართვა.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის ლუკაშენკოს რეჟიმის გამო შერისხულ მისი სამშობლოს დედაქალაქს. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე განიხილება დანიისა და სლოვაკეთის კანდიდატურები. რაც შეეხება ლატვიას, იგი უპრობლემოდ მიიღებს დასახელებულ ფორუმს.

კობა კობახიძე

სულთათანა

ნიჭიერებით და სიყვარულით გამორჩეული



მძიმე გამოდგა გასული 2020 წელი. ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ბევრი პიროვნება გადავიდა მარადიულ საუფლოში. ბევრი ღირსეული პიროვნება დააკლდა ქალაქს, ქვეყანას...

გოგი ქავთარაძე გამორჩეული კაცი იყო ადამიანებისადმი კეთილგანწყობით, მაღალი ნიჭიერებით, ქვეყნის სიყვარულით. ძნელია მასზე, უკვე გარდაცვლილის შესახებ, რაიმეს დაწერა. მოგონებები კი ბევრია. იქნებ ამაზეც ადრეა წერა. ზოგი რამ მაინც უნდა მოვიგონო. ამის უფლებას მისი ამ ქვეყნიდან წასვლისა და ზეცად ამაღლების დღეც გვაძლევს.

გოგი ყმაწვილკაცობიდანვე პოპულარული იყო ჩვენშიც და უცხოეთშიც. განსაკუთრებით მიხეილ კობახიძის შესანიშნავი ფილმის „ქორწილის“ გამოსვლის შემდეგ. გოგის გმირმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. 1965 წელს ახალგაზრდულ დელეგაციაში გახლდით ჩეხოსლოვაკიაში; თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების პრობლემას ეხებოდა კონფერენცია, რომელზეც ვიყავი მიწვეული. თან წავიღე ფილმი „ქორწილი“, რომელიც მასპინძელთა თხოვნით ბრატისლავაში „ბარანდოვფილმში“ ვაჩვენე. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ყველა გოგი ქავთარაძის არაჩვეულებრივად საყურადღებოდ წარმოჩენილ გმირზე საუბრობდა. აქებდნენ შემოქმედს, რომელმაც ამ მოკლემეტრაჟიან ფილმში საოცრად მნიშვნელოვანი სახე აჩვენა.

გასული საუკუნის 60-იანი წლები მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა შემოქმედთა ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს შემოსულმა მძლავრმა შემოქმედებითმა ნაკადმა (ახალგაზრდა მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, კინოხელოვნების წარმომადგენლები და სხვ.) შექმნა მნიშვნელოვანი ეტაპი ქართულ შემოქმედებით ცხოვრებაში. ვფიქრობ, ახალგაზრდული ორგანიზაცია აქტიურად მუშაობდა ახალგაზრდა ინტელიგენციასთან, ყოველმხრივ ცდილობდა, მათი შესაძლებლობების წარმოჩენას. ახალგაზრდულ პრობლემებთან დაკავშირებით უფროსი თაობის წარმომადგენლებიც ბევრს აკეთებდნენ. გავიხსენებ ერთ ამბავს. ჩემთან მოვიდნენ რუსთველის სახელობის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა წარმომადგენლები, დღეს უკვე მსოფლიოში კარგად ცნობილი და აღიარებული გენიალური რეჟისორი რობერტ სტურუა და ასევე შემდგომში აღიარებული მსახიობი და რეჟისორი გოგი ქავთარაძე. მე მაშინ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად ვმუშაობდი. მომიტანეს თავიანთი პიესა „ბრალდება“ — ახალგაზრდულ პრობლემებზე, მთხოვეს გავცნობოდი და თუ მიზანშეწონილად მივიჩნევდი, მხარი დამეჭირა მისი შემდგომი მსვლელობისთვის (ცხადია, დადგმისთვის). პიესა აშკარად საგულისყურო იყო, მწვავე ახალგაზრდული პრობლემები იყო დაყენებული (სწორედ ამიტომ მიაჩნდათ ჩვენგან მხარდაჭერა საჭიროდ). მე გავეცანი პიესას და მხარი დავუჭირე რუსთველის თეატრში მის დადგმას. იგი რუსთველის თეატრის მცირე სცენაზე დაიდგა... წარმატებაც დიდი ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ პიესაში მხოლოდ პრობლემები კი არ იყო ახალგაზრდული, ან ახალგაზრდა კაცის თვალით დანახული, არამედ შემსრულებლებიც უკლებლივ, ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. საგულისხმოა, რომ „ბრალდება“ ყველა დონეზე მოიწონეს და მისი დადებითი შეფასება ქვეყნის პირველი პირის მოხსენებაშიც მოექცა.

უნდა აღვნიშნო ე.წ. ბაკურიანის სემინარების (სიმპოზიუმების) შესახებ. ბაკურიანში 1966-72 წლებში ეწყობოდა ახალგაზრდა შემოქმედთა (მათ შორის მეცნიერთა) შეკრებები. ახალგაზრდები 10-12 დღის განმავლობაში მსჯელობდნენ ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა პრობლემებზე. სჯა-ბაასი ყოველგვარი კონიუნქტურის გათვალისწინების გარეშე მიმდინარეობდა. გოგი ქავთარაძე ყველა სიმპოზიუმის აქტიური მონაწილე იყო. ერთ-ერთ სხდომაზე მწვავედ დაისვა საკითხი ხელოვნებასა და ლიტერატურაში დილეტანტობის პრობლემის შესახებ. იმავე საღამოს გოგი ქავთარაძემ წარმოადგინა იმპროვიზებული დადგმა „დილეტანტის სიკვდილი“ — მართლაც, დაუვიწყარი საღამო იყო. უაღრესად ნიჭიერმა ავტორმა კარგად გაართვა თავი ამ მეტად რთულ თემას.

კიდევ ერთი ამბავი უნდა გავიხსენო გოგი ქავთარაძესთან დაკავშირებით. ბაკურიანში (ცხადია, სიმპოზიუმზე) ერთ-ერთი გამგზავრების წინ დამირეკა ჩვენმა სახელოვანმა მსახიობმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ. იგი იმხანად რუსთველის სახელობის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა. ბატონ სერგოსთან ახლო ურთიერთობა მქონდა. ისიც შინაურულად გამენდო, იქნებ როგორმე გოგი ქავთარაძე არ წაიყვანოო ბაკურიანში და თბილისში დატოვოო. შევიცხადე, რატომ-მეთქი. მომავალ ოთხშაბათს (ჩვენი საუბარი პარასკევს შედგა, შაბათს კი მივემგზავრებოდით) თეატრში ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ საჩვენებელი წარმოდგენა მთავრობის წევრებმა უნდა ნახონ და მას ვერ შევცვლიო. ძალიან შევწუხდი, მაგრამ ბატონ სერგოს უარი ვერ ვუთხარი და დავთანხმდი; მოვიწვიე გოგი ქავთარაძე და ეს ამბავი ვამცნე. გოგის იმხანად ოჯახური პრობლემები ჰქონდა და მიიჩნევდა, რომ თბილისიდან გასვლა, თუნდაც მცირე ხნით, მისთვის აუცილებელი იყო. ამიტომაც გაჯიუტდა, არ დაემორჩილა თეატრის დირექტორის გადაწყვეტილებას და ჩვენთან ერთად წამოვიდა... ათი დღის შემდეგ დავბრუნდით რა ბაკურიანიდან, გოგის სერგო ზაქარიაძის ბრძანება შეაგებეს — მისი თეატრიდან გათავისუფლების შესახებ. ეს ამბავი რომ გავიგე, ძალიან შევწუხდი. აუცილებლად ჩავთვალე ბატონ სერგოს შევხმიანებოდი. მანამდე ჩემი თხოვნით, ჩემი უმცროსი კოლეგა და მეგობარი ნუგზარ ფოფხაძე შეხვდა სერგო ზაქარიაძეს. როცა მან ცივი უარი მიიღო, მე დავურეკე ბატონ სერგოს და მოვიწადინე, ამეხსნა გოგის პირადი პრობლემები, თანაც ვთხოვე, იქნებ ერთხელ აპატიოთ-მეთქი. თავადაც შეწუხებული მელაპარაკებოდა, ვატყობდი უმძიმდა ბრძანების გაუქმება. ბოლს ისიც დავძინე, რა უნდა გააკეთოს უმუშევარმა მსახიობმა-მეთქი. დამეთანხმა — სწორი ხარო, ძალიან მეცოდება უმუშევრად დარჩენილი გოგია (ასე ეძახდა გოგი ქავთარაძეს) და სხვა რა შემიძლია, მოდი ერთად ვიტიროთო...“

ზოგი ჭირი მარგებელიაო... ეს თქმა გოგის იღბალზეა ზედგამოჭრილი. ჩვენ კულტურის სამინისტროსაც ვთხოვეთ, ეზრუნათ გოგი ქავთარაძის დასაქმებაზე... მალე უმუშევარი გოგი ქავთარაძე ბათუმის დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორად დაინიშნა. ასე დაიწყო მისი სარეჟისორო კარიერა, რასაც შემდგომში მნიშვნელოვანი წარმატებები (სოხუმი, ქუთაისი, თბილისი) მოჰყვა.

გოგი ქავთარაძემ დიდი სიყვარული დატოვა ქართველ საზოგადოებაში. მისი სახელიც მარადიულად დამკვიდრდება ქართული კულტურისთვის დამაშვრალთა შორის.

როინ მეტრეველი

სანთელი

გარდაიცვალა ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური

66 წლის ასაკში ისტორიკოსი **გიორგი ოთხმეზური** გარდაიცვალა. ინფორმაციას ოჯახის ახლობლები ადასტურებენ.

გიორგი ოთხმეზურმა 1976 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

გიორგი ოთხმეზურის კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა, ქართული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია.

თენგიზ ქავთარაძე და ზურაბ ფოჩხუა სამძიმარს უცხადებენ კობა ნადარეიშვილს შვილის

ჯორჯიო კობას ძე ნადარეიშვილის

გარდაცვალების გამო.

დიდთოვლობა აჭარაში

აჭარაში მეორე დღეა თოვს, თუმცა რეგიონის საგზაო დეპარტამენტის ინფორმაციით, ავტოტრანსპორტის გადაადგილების პრობლემა არც ერთ მუნიციპალიტეტში არ დგას.

„ამ დროისთვის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე ავტოტრანსპორტი ჩვეულებრივად მოძრაობს, გზები გაწმენდილია ასევე ადმინისტრაციული ერთეულების მიმართულებითაც. მთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებში, ასევე ხელვაჩაურის მაჭახელას ხეობასა და ქობულეთის ყოროლისთავის მიმართულებით ყველა ადმინისტრაციულ ერთეულამდე მაღალი გამავლობის ავტოტრანსპორტი შეუფერხებლად მოძრაობს, დღეს იწმინდება შიდა სასოფლო გზებიც“, — განაცხადა პირველ არხთან აჭარის საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზაზა შავაძემ.

„ენგურჰესი“ დღეიდან სამი თვით ჩერდება

გადაწყვეტილება გვირაბში დაგეგმილ სარეაბილიტაციო სამუშაოებს **უკავშირდება.**



როგორც ეკონომიკის მინისტრი განმარტავს, ამით ქვეყნის კონტროლირებად ტერიტორიაზე ენერგოსისტემა არ დაზიანდება, რადგან სეზონურად ამ დროს გამომუშავება მინიმალურია. რაც შეეხება საკითხს, თუ როგორ მომარაგდება „ენგურჰესის“ გაჩერების პერიოდში ოკუპირებული აფხაზეთი — ოფიციალური ინფორმაციით, რუსეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიას მიიღებს, ანაზღაურება კი აფხაზური მხარის უზრუნველსაყოფი იქნება.

ჰესის გაჩერების პერიოდში ქვეყანას 400 მლნ კვტ/სთ-ზე მეტი ელექტროენერგია დააკლდება. ცნობისთვის, თავდაპირველად 2018 წელს EBRD-მა ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის 28-მილიონიანი სესხი გამოყო. ამასთან, გასულ წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) „ენგურჰესის“ რეაბილიტაციისთვის დამატებით 10 მილიონი ევრო გამოყო და შესაბამისად, „ენგურჰესის“ სარეაბილიტაციოდ ჯამში EBRD-ის მიერ გამოყოფილი 38 მილიონი ევროს მოცულობის 1%-იანი სესხი დაიხარჯება.

ავიცილეთ დიდი ტრაგედია

კომპანია „თბილისი ენერჯის“ ინფორმაციით, თბილისში ერთ-ერთი სადარბაზო აფეთქებას გადაურჩა. შემთხვევა თემქის მეთერთმეტე მიკრორაიონში მოხდა.

„ადგილზე მისულ სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებს ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში ასეთი სურათი დახვდათ — აღმოჩნდა, რომ ფართში გაზის დანადგარები რემონტის გამო მოხსნეს, ცენტრალური ონკანი კი არ გადაუკეტავთ.

გაზი ღიად დატოვებული მილებიდან ჟონავდა, რომელიც ჯერ ბინაში დაგროვდა და მაღალი კონცენტრაციის შემდეგ, სადარბაზოში გაჟონა. სადარბაზო აფეთქებას გადაურჩა, თბილისი ტრაგედიას. რომ არა მეზობლების ყურადღება, რომლებმაც „თბილისი ენერჯის“ ცხელ ხაზზე დარეკეს; რომ არა სწრაფი რეაგირების სამსახურის დროული მოქმედება, ახლა ჩვენს ქალაქში დიდი ტრაგედია მოხდებოდა ერთი უპასუხისმგებლო ადამიანის ქმედების გამო.

დროის ამ მონაკვეთში რომ შემთხვევით ვინმე შესულიყო ბინაში და შუქი ან ასანთი აენთო, მთელი კორპუსი აფეთქდებოდა და ტრაგედია სავარაუდოდ დიდი მსხვერპლითაც დასრულდებოდა“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

გელათი მუდამ იგელათებს!..

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი, ნიკოლოზ ანთიძე ფეისბუქის გვერდზე გამოეხმაურა ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, გელათში დროებითი სახურავი ჩამოინგრა და ტაძარი „ნადგურდება“... მისი განმარტებით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

„ვინაიდან გუშინ უხვი ნალექი მოვიდა გელათში, ადგილზე ვარ გუშინდელი დღიდანვე. ჩემი ზედამხდველობით მიმდინარეობს დროებითი გადახურვის რევიზია, ხარვეზების იდენტიფიცირება და გამოსწორება. გელათზე სამუშაოების მწარმოებელი კომპანია შეიცვალა, ამავე კომპანიას დაეკისრა ჯარიმა. ახალი კომპანიის მიერ ჩასატარებელ ღონისძიებებს სრულად დააფინანსებს დაჯარიმებული კომპანია. ვრცელდება დეზინფორმაცია თითქოს დროებითი სახურავი ჩამოინგრა. ეს სიმართლეს არ შეესაბამება“, — წერს ნიკოლოზ ანთიძე.

გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარზე შექმნილი ვითარების გამოსასწორებელ ღონისძიებებს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით სხვა კომპანია განახორციელებს..

პრევენციული ქმედებების ფარგლებში ჩატარებული სამუშაოებისას გამოვლენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო, შემსრულებელ კომპანიებს „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრს“ და „იკორთა 2007“-ს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები განესაზღვრათ, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მყოფი ძეგლის გათვალისწინებით 12 000-12 000 ლარს მოიცავს.

სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის მიერ გასულ წელს გაცემული გაფრთხილების მიუხედავად, შემსრულებელმა კომპანიებმა ამ დრომდე ვერ უზრუნველყვეს სანებართვო პირობების გადაცდომით შესრულებული სამუშაოების შედეგების გამოსწორება, რაც მთელ რიგ კონსტრუქციულ ელემენტებზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას ითვალისწინებდა.

ფიზიკური სამუშაოების პროცესში დაშვებული შეცდომების მიზეზით, 18 იანვარს მთავარი ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთ ფერდზე ქარის შედეგად დროებითი გადახურვის ფრაგმენტი აძვრა. დაზიანებული კონსტრუქციის აღდგენის სამუშაოები ეროვნული სააგენტოს ინიციატივით საღამოდანვე დაიწყო. აღდგენილი მყარი გადახურვის სათანადო წესით გამაგრების პარალელურად, სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის სპეციალისტების ზედამხედველობით გადამოწმდება დროებითი გადახურვების ყველა არეალი.

პრევენციული ქმედებებისას შესრულებული სამუშაოების ხარვეზების აღმოფხვრას დღეიდან კომპანია „ბაგინეთი+“ განახორციელებს.

სამუშაოების წარმართვას კი ფინანსურად სამართლებრივი პასუხისმგებლობის მქონე კომპანიები უზრუნველყოფენ. არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესი სააგენტოს ინსპექციის ჯგუფის მუდმივი მეთვალყურეობით წარიმართება.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რა ქონებას ფლობს პუტინი?

დაპატიმრებული **რუსი ოპოზიციონერის ალექსეი ნავალნის „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდმა“ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ქონების შესახებ საგამოძიებო ფილმი გამოაქვეყნა.**

გამოძიების ავტორების მტკიცებით, ვლადიმერ პუტინი შავი ზღვის სანაპიროზე 100 მილიარდი რუბლის ღირებულების სასახლეს ფლობს, რომლის მშენებლობა და შენახვა ორი სახელმწიფო კომპანიის „როსნეფტისა“ და „ტრანსნეფტის“ ხარჯზე ხდება.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდის მტკიცებით, იდოკოპასის კონცხზე მდებარე შენობის ფართობი 17 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება. გამოძიების ავტორთა ინფორმაციით, ეს რუსეთში ყველაზე დიდი სახლია. მის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია ყინულის სასახლე, ეკლესია, ორანჟერეა, ზღვაზე გამავალი გვირაბი. შენობის გარშემო ტერიტორიის ფართობი შვიდი ათასი ჰექტარია და ის უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურს ეკუთვნის. შენობის თავზე არასაფრენი ზონაა. ნავალნის გუნდის ცნობით, სასახლის პერსონალს ტერიტორიაზე მობილური ტელეფონების შეტანა ეკრძალებათ.

თითქმის ორსაათიანი საგამოძიებო ფილმი „პუტინის სასახლე. მსოფლიოს ყველაზე დიდი ქრთამის ისტორია“ 19 იანვარს ალექსეი ნავალნის „იუთუბის“ არხზე გამოქვეყნდა და მას უკვე ოთხ მილიონზე მეტი ნახვა აქვს. ვიდეოში წარმოდგენილია სასახლის სურათები და შენობის გეგმის სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია.

როგორც ვიდეოს აღწერაშია აღნიშნული, ნავალნიმ ვიდეო რუსეთში ჩასვლის წინ ჩაწერა და გეგმის მიხედვით, ის ოპოზიციონერის რუსეთში დაბრუნების შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო.

პუტინის სასახლის შესახებ თავდაპირველად ინფორმაცია რუსულ მედიაში 2010 წელს გავრცელდა. მაშინ კრემლმა აღნიშნული ცნობები უარყო.

იპოვეს ლეგენდარული ლეონარდოს ტილოს ასლი

იტალიის **პოლიციამ 500 წლის ნახატი იპოვა და მუზეუმში დააბრუნა, თუმცა თანამშრომლებმა ტილოს გაუჩინარების შესახებ არაფერი იცოდნენ.**

ტილო Salvator Mundi-ს ასლია, რომელიც სავარაუდოდ ლეგენდარულმა ლეონარდო და ვინჩიმ დაწერა. ექსპერტების აზრით, ასლის ავტორი და ვინჩის მოსწავლეა. ნახატი ნეაპოლში, ერთ-ერთი ბინაში იპოვეს. ის კარადაში იდო.

ბინის 36 წლის მფლობელი მოპარული ნივთების შეძენის ბრალდებით დააკავეს.

ჩვეულებრივ, ტილო ქალაქის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება, თუმცა მუზეუმის თანამშრომლებს ოთახი, რომელშიც ის კიდია, 3 თვის განმავლობაში არ გაუხსნიათ, ამიტომ ქურდობის შესახებ არაფერი იცოდნენ.

მადრიდში დიდთოვლობაა

ესპანეთის **დედაქალაქი დიდთოვლობისა და დაბალი ტემპერატურის გამო ხელისუფლებამ კატასტროფის ზონად გამოაცხადა. შედეგად, მიყენებული ზარალის კომპენსირება უფრო მარტივად მოხდება.**

ხელისუფლების მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ უამინდობის შედეგად მიყენებული ზარალის გამო მადრიდი კატასტროფის ზონად უნდა გამოცხადდეს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური რესურსი გამოიყოს.

ესპანეთის მეტეოროლოგიური სამსახურის ინფორმაციით, მადრიდში ბოლო 100 წლის განმავლობაში 80 სანტიმეტრის სიმაღლის თოვლი არ მოსულა და არც ტემპერატურა შემცირებულია მინუს 12 გრადუსამდე.

მადრიდის მერიის ინფორმაციით, ამინდის გაუარესების გამო, საზოგადოებრივი კვების ობიექტების ზარალმა 100 მილიონი ევრო შეადგინა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 25 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2994; ევრო - 3.9801;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4674;
100 რუბლი - 4.4446; თურქული ლირა - 0.4395;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9409;
1000 სომხური დრამი - 6.3359.

ამინდი 21 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-6,	დღე	+4
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	0
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+5
მთიანი რაიონები -	ღამე	-9,	დღე	0
თბილისი:	ღამე	-3,	დღე	+3

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge